დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ-ალექსანდრე საჯაიას სახელობის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის N1
საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

წევრები:

- ლელა წურწუმია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
- ნანა ავაზაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
- ელენე კურდღელია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
- ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- მაკა გიორგბერიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
- მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
- ნათია იასაღაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
- ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
- ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
- ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ალექსანდრე საჯაიას სახელობის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	220373352

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოდიში
ფაქტობრივი მისამართი	ზუგდიდი, სოფელი ოდიში, ზ. გამსახურდიას ქუჩა N2
საფოსტო ინდექსი	2141
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Odishi1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577933751

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის გრძანების ნომერი და თარიღი)	N403278, 03.04.2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 07 და 08 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

1.	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ზუგდიდი, სოფელი ოდიში, ზვიად გამსახურდიას ქუჩა N2, 1 შენობა
2.	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საბაზო საფეხური	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ზუგდიდი, სოფელი ოდიში, ზვიად გამსახურდიას ქუჩა N2, 1 შენობა
3.	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საშუალო საფეხური	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ზუგდიდი, სოფელი ოდიში, ზვიად გამსახურდიას ქუჩა N2, 1 შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2026 წლის 03 აპრილის N403278 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება **სსიპ-ალექსანდრე საჯაიას სახელობის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის N1 საჯარო სკოლაში** (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს, 2026 წლის, 2026 წლის 07 და 08 მაისს, ადგილზე ვიზიტით, ხოლო ჯგუფის სხვა წევრებმა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Teams) გამოყენებით.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, ორჯერ განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. შეხვედრამ პოზიტიურ, კეთილგანწყობილ გარემოში ჩაიარა, ექსპერტებმა მასწავლებლებს მისცეს საქმიანი, კონსტრუქციული უკუკავშირი, ზოგიერთი საგნობრივი ექსპერტისგან მიიღეს რჩევა კურიკულუმის შემდგომი დახვეწის მიზნით. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო გასაუბრების პროცესში და საგნობრივ ექსპერტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის პროცესში.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული დოკუმენტების და მტკიცებულებების წარმოდგენა. ვიზიტის დროს დაწესებულებაში ცხადად ჩანდა თანამშრომლობითი კულტურა. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 250	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამ დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვის არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვ უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებ სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართ უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობებ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილ ორგანოს მიერ გაცემული შენობ ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვ	1. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.01.2026 – 30.12.2026) განახორციელოს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოწყობა სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე. 2. უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა (ონკანი, გამწოვი კარადა) შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.02.2026 – 30.12.2026).
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N. 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანებ შესაბამისი აქტივობები, შესრულებ გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტურ	სასურველია სამოქმედო გეგმაში რესურსების სტრუქტურირება დაიყოს სამ ძირითად კატეგორიად: ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები. ასეთი დაყოფა უზრუნველყოფს რესურსების უფრო გამჭვირვალე

	ვადები, პასუხისმგებელ პირები/სტრუქტურული ერთეულები შესაბამისი რესურსები, რომელ უზრუნველყოფაც რეალისტურია	დაგეგმვას, ეფექტიან განაწილებასა და მონიტორინგს, ასევე გაამარტივებს თითოეული აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო პირობების შეფასებას.
ინდიკატორი N. 1.2.2.2	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმების შესრულებ მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორ სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხ დაინტერესებული მხარეების უკუკავშირ გათვალისწინებით	სკოლას მიეცა **რჩევა** - შექმნას შესაბამისი მონიტორინგის ჯგუფი და მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებული ყველა აქტივობა ასახოს წერილობითი დოკუმენტაციის სახით - რეგულარული ანგარიშების, შეფასების ფორმების, მონაცემთა ანალიზისა და შესაბამისი დასკვნების დაფიქსირებით. ეს უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობას, გამჭვირვალობას და ხელს შეუწყობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების ეფექტიანობის გაზრდას.
ინდიკატორი N. 1.2.2.3	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედ გეგმების განხორციელების შედეგები საჯარ	**რჩევა:** სასურველია, ანგარიშში ყურადღება გამახვილდეს არა მხოლოდ განხორციელებულ აქტივობებზე, არამედ მათი ეფექტიანობის შეფასებასა და შედეგების ანალიზზე. სასურველია, დოკუმენტი მოიცავდეს კონკრეტულ მონაცემებს, მიღწეულ შედეგებს, გამოვლენილ სირთულეებსა და მომდევნო ეტაპისთვის განსაზღვრულ რეკომენდაციებს. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობას, ეფექტიანი უკუკავშირის უზრუნველყოფასა და სამოქმედო გეგმის შემდგომ გაუმჯობესებას.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N. 3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდ გამოვლენილი საჭიროებების საფუძველ შემუშავებული გეგმის შესაბამისად	სასურველია პროფესიული განვითარების პროცესების უფრო მეტად დოკუმენტირება და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე გრძელვადიანი პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება, რომელშიც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, ვადები და მოსალოდნელი შედეგები. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროცესის სისტემურობას, განხორციელებული აქტივობების შეფასებასა და პროფესიული განვითარების შედეგების უკეთ მონიტორინგს.
ინდიკატორი N. 3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართ ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფ	სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს შეფასებას დაქვემდებარებული სასკოლო საქმიანობის

	პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნე პროცესულ მიდგომასა და ხარისხ უზრუნველყოფის ციკლს	კონკრეტული მიმართულებები, შეფასების განხორციელების პერიოდულობა, პროცესის ეტაპები და მათი თანმიმდევრობა, ასევე გამოყენებული ინსტრუმენტები და თითოეული ეტაპის პასუხისმგებელი პირები. ასეთი დეტალიზაცია გააძლიერებს პროცესის სისტემურობას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, რაც მნიშვნელოვანია ხარისხის მართვის ეფექტიანობისთვის. გარდა ამისა, სასურველია დოკუმენტში აისახოს შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმებიც - როგორ ხდება მონაცემთა ანალიზი, რა პროცედურებით მიიღება გადაწყვეტილებები და როგორ აისახება მიღებული შედეგები სკოლის შემდგომ საქმიანობასა და განვითარებაზე. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს ხარისხის მართვის ციკლის სრულფასოვან ფუნქციონირებას და ხელს შეუწყობს სკოლის უწყვეტ გაუმჯობესებას.
ინდიკატორი N. 3.3.1.2.	**იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**	სასურველია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები გაიწეროს ცალკე დოკუმენტად, რაც ხელს შეუწყობს პროცესების უფრო მკაფიო აღწერას, პასუხისმგებლობების განსაზღვრას, საქმიანობის კოორდინაციასა და ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესებას.
ინდიკატორი N. 3.4.1.8.	**სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**	სასურველია, მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით უსაფრთხოების საკითხების შეფასებისა და ანალიზის ერთიანი, სტანდარტიზებული მიდგომის შემუშავება, ასევე ინციდენტების აღრიცხვისა და მონიტორინგის სისტემის (ჟურნალის ან ელექტრონული ბაზის) დანერგვა. აღნიშნული უზრუნველყოფს რისკების უფრო ზუსტ იდენტიფიცირებას, პრევენციული ღონისძიებების მიზნობრივ დაგეგმვას, პროცესების გამჭვირვალობის ამაღლებას და უსაფრთხოების მართვის სისტემის გაძლიერებას.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამ დასახელება)*	*რჩევა* **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ინდიკატორი N2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**ზუნებისმეტყველება** **დაწყებითი საფეხური:** სასურველია, I–IV კლასების კურიკულუმში სავალდებულო თემების ფარგლებში დამუშავდეს ხუთივე სამიზნე ცნება. ასევე, სასურველია საკითხების გაერთიანება და მათი შესაბამის სვეტში წარმოდგენა, ხოლო „კონტექსტი/მაგალითის“ გრაფაში მხოლოდ 1–2 კონკრეტული მაგალითის დატოვება, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის მეტად სტრუქტურირებულ და მკაფიო წარმოდგენას. **საბაზო და საშუალო საფეხური:** • ბიოლოგიაში, VII კლასის კურიკულუმს სასურველია დაემატოს თემა - „მიკროორგანიზმები“. • ბიოლოგიაში, XII კლასის თემებში - „ეკოლოგია“ და „ვირუსიდან ადამიანამდე“ - სასურველია სრულად დამუშავდეს ოთხივე სამიზნე ცნება. • ფიზიკის VII კლასის კურიკულუმში სასურველია თემები და სამიზნე ცნებები წარმოდგენილი იყოს საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. • ქიმიის XII კლასის კურიკულუმში სასურველია, დავალების იდეაში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს როგორც შესასწავლი საკითხი, ისე ის პროდუქტი, რომელიც მოსწავლეებმა უნდა შექმნან, რაც ხელს შეუწყობს დავალების მიზნისა და მოსალოდნელი შედეგის უკეთ აღქმას. **სახელმწიფო ენა** სასურველია, **სამივე საფეხურზე** მკაფიოდ გაიმიჯნოს „საკითხი“ და „შემოქმედებითი დავალების იდეა“, რადგან რიგ შემთხვევებში შემოქმედებითი დავალების გრაფაში წარმოდგენილია თავად საკითხი ან ორივე გრაფაში იდენტური ინფორმაციაა მითითებული. სასურველია, საკითხი ჩამოყალიბდეს სახელდებითი ფორმით და ასახავდეს იმას, თუ რა უნდა ისწავლებოდეს (მაგ.: „დიორამის შექმნა“), ხოლო „შემოქმედებითი დავალების იდეის“ ნაწილში წარმოდგენილი იყოს კონკრეტული დავალების აღწერა/პირობა შეფასების კრიტერიუმებამდე.

		სასურველია, რესურსების ჩამონათვალში მითითებულ ბმულებს თან ახლდეს შესაბამისი მასალის სათაური, რაც გაამარტივებს რესურსების იდენტიფიცირებასა და გამოყენებას. სასურველია, შეფასების რუბრიკები მეტად დაეფუძნოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორებსა და კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რუბრიკებში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს, თითოეულ ცნებასთან მიმართებით კონკრეტულად რა კომპონენტი ფასდება, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სიზუსტეს, გამჭვირვალობასა და დავალების მიზნებთან შესაბამისობას. **მათემატიკა** სასურველია, მათემატიკის კურიკულუმში სამივე საფეხურზე თემებთან ერთად წარმოდგენილი კონკრეტული საკითხები გადატანილ იქნას „საკითხთა კლასტერის“ შესაბამის სვეტში, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის სტრუქტურულ გამართულობას, ინფორმაციის უკეთ ორგანიზებასა და თემებისა და საკითხების მკაფიო გამიჯვნას.
ინდიკატორი N2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, ხელოვნების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში თემატური ბლოკები უფრო მკაფიოდ და სტრუქტურირებულად იყოს გამოკვეთილი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებასა და თემატური ერთეულების თანმიმდევრულ დაგეგმვას. **მათემატიკა** სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ისეთი შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელთა განხორციელებაც რეალისტურად და პრაქტიკულად შესაძლებელია არსებული რესურსების, დროისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და დასახული შედეგების მიღწევას. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების კათედრამ კურიკულუმებისათვის შეიმუშაოს ერთიანი სტრუქტურული ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ და თანმიმდევრულად იქნება განსაზღვრული თითოეული სვეტის დანიშნულება. ასევე, მნიშვნელოვანია, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად

		სწორად აისახოს სავალდებულო თემები, სტანდარტის შედეგები და დავალების იდეები. ასევე სასურველია, თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა შესაბამისი სამიზნე ცნება, ხოლო კონტექსტი/მაგალითები იყოს კონკრეტული და თემასთან უშუალოდ დაკავშირებული. ამასთან, სასურველია, კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ იმ რაოდენობის დავალებები, რომელთა განხორციელებაც სასწავლო პროცესში რეალურად და პრაქტიკულად არის შესაძლებელი.
ინდიკატორი N2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, სასწავლო წლის დასაწყისში კათედრა შეთანხმდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ერთიან ფორმატზე, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის სისტემურობასა და ერთგვაროვან მიდგომას. ასევე, მიზანშეწონილია, თითოეული მოსწავლისთვის კლასების მიხედვით განისაზღვროს გრძელვადიანი მიზნები ყველა თემისა და შესაბამისი სამიზნე ცნების მიმართებით, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მიზნობრივ დაგეგმვასა და მოსწავლის პროგრესის ეფექტიან მონიტორინგს.
ინდიკატორი N2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, შეფასების სისტემა მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლის განვითარებასა და სწავლების პროცესის მხარდაჭერაზე. ასევე დავალებისთვის წინასწარ განისაზღვროს მკაფიო და გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმები, რათა მოსწავლეებმა ზუსტად იცოდნენ, რა მოლოდინები და მოთხოვნები არსებობს კონკრეტული დავალების შესრულებისას. სასურველია ყურადღება დაეთმოს განმავითარებელი შეფასების გაძლიერებას - ქულობრივ შეფასებასთან ერთად მოსწავლეებმა სასურველია მიიღონ კონკრეტული, კონსტრუქციული და განვითარებისკენ მიმართული უკუკავშირი, რომელიც გამოკვეთს როგორც მათ ძლიერ მხარეებს, ისე გაუმჯობესების საჭიროებებს. ასევე, სასურველია, შეფასების პროცესში მეტად იყოს უზრუნველყოფილი მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების მექანიზმების გამოყენებით. სასურველია შუალედური უკუკავშირის სისტემატური დანერგვაც, რაც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას ეტაპობრივად

		გააუმჯობესონ საკუთარი ნამუშევარი და მეტად გააცნობიერონ საკუთარი სასწავლო პროგრესი. **სახელმწიფო ენა** სასურველია, შეფასების რუბრიკების შემუშავებისას უფრო მეტად იყოს გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორები და კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმები, რომლისთვისაც იქმნება შესაბამისი რუბრიკა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რუბრიკაში მკაფიოდ და თვალსაჩინოდ გამოიკვეთოს, თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით კონკრეტულად რა კომპონენტი და უნარი ფასდება დავალებაში, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სიზუსტეს, გამჭვირვალობასა და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობას. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმებში გაწერილ კონკრეტულ დავალებებზე მორგებული შეფასების რუბრიკები. ამასთან, მნიშვნელოვანია, რუბრიკებში მკაფიოდ გამოიკვეთოს შეფასების კრიტერიუმების მიმართება შესაბამის სამიზნე ცნებებსა და სტანდარტით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მიზნობრიობას, გამჭვირვალობასა და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობას.
ინდიკატორი N2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, განხორციელდეს სასწავლო პროცესის რეგულარული მონიტორინგი და ანალიზი, რათა შეფასდეს, რამდენად შეესაბამება რეალურად მიმდინარე სწავლება კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია, საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს დროული კორექტირება, რადგან კურიკულუმი წარმოადგენს დინამიკურ და განვითარებაზე ორიენტირებულ დოკუმენტს, რომელიც მუდმივ გაუმჯობესებას საჭიროებს.

ინდიკატორი N2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, სასწავლო პროცესში აქტიურად იყოს გამოყენებული გეოგრაფიული ციფრული რესურსები და აპლიკაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კვლევითი უნარების განვითარებას, სივრცითი აზროვნების გაძლიერებასა და სხვადასხვა გეოგრაფიული ხელსაწყოს გამოყენების პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას. სასურველია ისეთი პლატფორმებისა და პროგრამების ინტეგრირება, როგორიცაა: • Google Earth -პლატფორმა, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს 3D ფორმატში დაათვალიერონ დედამიწა, შეისწავლონ რელიეფი, კლიმატი, ქალაქები, ისტორიული ცვლილებები და შექმნან საკუთარი გეოგრაფიული პროექტები; • QGIS - უფასო GIS პროგრამა, რომელიც გამოიყენება სივრცითი მონაცემების ანალიზის, თემატური რუკებისა და კვლევითი პროექტების შესაქმნელად, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურებზე; • Google Maps - რესურსი, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები სწავლობენ მარშრუტების დაგეგმვას, კოორდინატების განსაზღვრას, მანძილების გაზომვასა და სხვადასხვა ლოკაციის კვლევას; • National Geographic MapMaker - საგანმანათლებლო GIS ინსტრუმენტი, რომელიც მოსწავლეებს თემატურ რუკებზე მუშაობის შესაძლებლობას აძლევს; • Google Earth Engine - პლატფორმა, რომელიც გამოიყენება გარემოს ცვლილებების, კლიმატის, ტყეების, წყლის რესურსებისა და სატელიტური მონაცემების კვლევისათვის და განსაკუთრებით ეფექტიანია კვლევით პროექტებში. ასევე, შესაბამისი ფიზიკური რესურსების არარსებობის შემთხვევაში, სასურველია გამოყენებულ იქნეს მობილური აპლიკაციები, რომლებიც ფუნქციურად ანაცვლებს ისეთ გეოგრაფიულ ხელსაწყოებს, როგორიცაა კომპასი, ბარომეტრი, ალტიმეტრი და სხვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს პრაქტიკული სწავლების გაძლიერებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ეფექტიან ინტეგრირებას.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისიაა - უსაფრთხო და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნით ხელი შუწყოს თითოეული მოსწავლის საჭიროებებისა და ინტერესების გამოვლენას და განვითარებას, რათა აღზარდოს თავისუფალი, პატრიოტი, კრიტიკული აზროვნების მქონე პასუხისმგებლიანი მოქალაქე, რომელსაც შესწევს უნარი წარმოაჩინოს და უწყვეტად განივითაროს საკუთარი შესაძლებლობები.

სკოლის ხედვაა - იყოს უსაფრთხო, ინკლუზიური და განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებას, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, სამოქალაქო ცნობიერებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას და ქმნის საფუძველს მოსწავლეთა წარმატებული ინტეგრაციისთვის განათლების შემდგომ საფეხურებზე და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სკოლის მისია და ხედვა შინაარსობრივად თანხვედრაშია ზოგადი განათლების ახალ ეროვნულ მიზნებთან და ერთიანად ასახავს მათ ძირითად პრინციპებს. ორივე შემთხვევაში მკაფიოდ იკვეთება უსაფრთხო და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნის მნიშვნელობა, რაც თანამედროვე განათლების ფუნდამენტურ მოთხოვნას წარმოადგენს და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის თანაბარ ჩართულობას.

მისიასა და ხედვაში ერთობლივად არის გამოკვეთილი მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა - თითოეული მოსწავლის საჭიროებების, ინტერესებისა და პოტენციალის გამოვლენა და განვითარება. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კრიტიკული აზროვნების, სამოქალაქო ცნობიერებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას, რაც სრულად შეესაბამება ეროვნულ მიზნებში განსაზღვრულ მოქალაქეობრივი განათლების ამოცანებს. ორივე დოკუმენტი ასევე ხაზს უსვამს პიროვნულ და აკადემიურ განვითარებასთან ერთად უწყვეტი თვითგანვითარებისა და საზოგადოებაში წარმატებული ინტეგრაციის მნიშვნელობას. ეს მიუთითებს, რომ სკოლა ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე, არამედ ისეთი უნარებისა და ღირებულებების განვითარებაზე, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება როგორც განათლების შემდგომ საფეხურებზე, ისე რეალურ ცხოვრებაში წარმატების მიღწევაში.

საბოლოოდ, მისია და ხედვა ერთმანეთის გამაძლიერებელია და ქმნის ერთიან, თანმიმდევრულ საფუძველს თანამედროვე საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია და ხედვა მკაფიოდ განსაზღვრავს სკოლის როლს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. ორივე დოკუმენტში ხაზგასმულია უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს შექმნა, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კეთილდღეობასა და თანაბარ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

ამასთან, მისია და ხედვა ნათლად ასახავს სკოლის ფუნქციას, როგორც სივრცეს, სადაც ხდება არა მხოლოდ აკადემიური, არამედ პიროვნული და სოციალური უნარების განვითარება. კრიტიკული აზროვნების, სამოქალაქო ცნობიერებისა და სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაზე

გაკეთებული აქცენტი მიუთითებს, რომ სკოლა ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათი ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბებას.

საბოლოოდ, მისია და ხედვა ერთობლივად წარმოაჩენს სკოლას როგორც მრავალფუნქციურ სოციო-კულტურულ სივრცეს, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს, პიროვნულ განვითარებას და მოსწავლეთა წარმატებულ ინტეგრაციას საზოგადოებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

წარმოდგენილი დოკუმენტაციის (სკოლის დირექტორის 2026 წლის 09 იანვრის, N2-03 ბრძანება - სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის შექმნა; სამუშაო ჯგუფის ოქმი N2; სამეურვეო საბჭოს ოქმი N2; მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული გამოკითხვის მტკიცებულები; მშობელთა კრების ოქმი N1; პედაგოგიური საბჭოს ოქმი N2; ფოტომასალა) შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმირება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების ფართო და აქტიური მონაწილეობით. დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა დირექტორის მოადგილე. ჯგუფის საქმიანობაში ჩართული იყვნენ მასწავლებლები, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მშობელთა წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფდა სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის გათვალისწინებას.

პროცესის განმავლობაში სამუშაო ჯგუფი ითანამშრომლა სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. პარალელურად, სისტემატურად ხდებოდა საზოგადოების ინფორმირება, რამაც ხელი შეუწყო პროცესის გამჭვირვალობასა და ნდობის გაძლიერებას. მისიისა და ხედვის ჩამოყალიბებისას გამოყენებულ იქნა გამოკითხვა/ანკეტირება, მიღებული შედეგები გაანალიზდა და შეჯერდა, რის საფუძველზეც გამოიკვეთა ძირითადი პრიორიტეტები.

სტრატეგიული დაგეგმვის ფარგლებში ასევე გამოყენებულ იქნა SWOT ანალიზი, რომელმაც შესაძლებლობა მისცა სამუშაო ჯგუფს დაედგინა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე შეეფასებინა არსებული რისკები და განვითარების შესაძლებლობები. აღნიშნული პროცესები სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს და ადასტურებს, რომ სკოლის მისია და ხედვა გააზრებული, შეთანხმებული და მონაწილეობის პრინციპზე დაფუძნებული პროცესის შედეგად არის ჩამოყალიბებული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე დირექციასთან გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება განხორციელდა ინკლუზიური და თანამონაწილეობრივი პროცესის ფარგლებში. სამუშაო ჯგუფის მიერ წინასწარ დაიგეგმა და ეტაპობრივად ჩატარდა შეხვედრები, სადაც დეტალურად განიხილებოდა თითოეული კომპონენტი, განისაზღვრებოდა პრიორიტეტები და ჩამოყალიბდა საერთო მიმართულებები. აღნიშნული პროექტი განსახილველად წარედგინა პედაგოგიურ საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს, რის შედეგადაც მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები და შენიშვნები.

მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დოკუმენტი გადაიხედა, დაზუსტდა ფორმულირებები, დაემატა შესაბამისი აქცენტები და საბოლოოდ ჩამოყალიბდა სრულყოფილ, თანმიმდევრულ და სკოლის საჭიროებებზე მორგებულ დოკუმენტად. მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, დოკუმენტი გაზიარებულ იქნა სკოლის სოციალურ ქსელებში და ასევე განთავსდა სკოლის საინფორმაციო დაფაზე, რათა ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონოდა შესაძლებლობა გაცნობოდა მის შინაარსს.

გარდა ამისა, სკოლაში კლასების მიხედვით ჩატარდა მშობელთა კრებები, სადაც ადმინისტრაციამ და პედაგოგებმა მშობლებს დეტალურად გააცნეს სკოლის ფილოსოფიის არსი, მიზნები და მნიშვნელობა, უპასუხეს მათ შეკითხვებს და მოისმინეს დამატებითი მოსაზრებები. აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალობას, ჩართულობასა და საერთო ხედვის ჩამოყალიბებას სკოლის საზოგადოებაში.

შედეგად, განხორციელებული აქტივობები ადასტურებს, რომ სკოლაში მისიის, ხედვისა და ღირებულებების განსაზღვრა და გაზიარება მიმდინარეობდა სისტემურად, თანმიმდევრულად და დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს საჯარო დოკუმენტს, რომლის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე და სკოლის სოციალურ ქსელებში, რაც უზრუნველყოფს მის ფართო გავრცელებასა და მარტივ წვდომას.

ამასთან, დოკუმენტი წარმოდგენილია მატერიალური ფორმითაც - განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, რათა სკოლაში მყოფ თითოეულ პირს (მოსწავლეს, მშობელს, პედაგოგს თუ ვიზიტორს) ჰქონდეს შესაძლებლობა ადგილზე გაეცნოს მის შინაარსს.

აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობას, საერთო ღირებულებების გაზიარებასა და ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება სრულად შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ტერმინოლოგიას. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 04 ივნისის N56/ნ ბრძანების საფუძველზე სკოლის ოფიციალურ სახელწოდებად განსაზღვრულია - „სსიპ ალექსანდრე საჯაიას სახელობის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის N1 საჯარო სკოლა".

აღნიშნული სახელწოდება ასახავს როგორც სკოლის სამართლებრივ სტატუსს (საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ), ასევე მის გეოგრაფიულ მდებარეობასა და იდენტობას. ამგვარი ფორმულირება სრულ შესაბამისობაშია მოქმედ ნორმატიულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს სკოლის იდენტიფიკაციის სიზუსტეს როგორც საგანმანათლებლო სივრცეში, ისე ადმინისტრაციულ და სამართლებრივ ურთიერთობებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის დირექტორის 2026 წლის 09 იანვრის, N2-03 ბრძანება - სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სამუშაო ჯგუფის ოქმი N2;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N2;
- მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული გამოკითხვის მტკიცებულები;
- მშობელთა კრების ოქმი N1;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი N2);
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- დირექტორის ბრძანება - სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლაში მოქმედებს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის სისტემურობასა და გამჭვირვალობას. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს იმ ძირითად პრინციპებსა და მიდგომებს, რომელთა საფუძველზეც ხდება სკოლის განვითარების დაგეგმვა, მათ შორის - სასკოლო საზოგადოების საჭიროებების, ინტერესებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირება და გათვალისწინება.

მეთოდოლოგია აღწერს სკოლის მმართველობით პროცესს: მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპებსა და განვითარების მიმართულებებს. ასევე განსაზღვრულია თითოეულ ეტაპზე პასუხისმგებელი პირები, პროცესში ჩართული სუბიექტები (ადმინისტრაცია, პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები) და მათი ფუნქციები, რაც უზრუნველყოფს მონაწილეობის პრინციპის დაცვას და გადაწყვეტილებების კოლეგიალურ მიღებას.

მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს, მათ შორის - შესრულების პროგრესის პერიოდულ ანალიზს და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებას. აღნიშნული უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებასა და შედეგებზე ორიენტირებულ მართვას.

დოკუმენტი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოებისგან ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა გამოკითხვები, ანკეტირება და SWOT ანალიზი, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებას რეალურ მონაცემებსა და საჭიროებებზე დაყრდნობით. ამასთანავე, განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარების მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

წარმოდგენილი შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2026–2033) წარმოადგენს სისტემურად ჩამოყალიბებულ დოკუმენტს, რომელიც მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და განვითარების ძირითად მიმართულებებს. დოკუმენტი ეფუძნება SWOT ანალიზს, რაც

უზრუნველყოფს სკოლის რეალური მდგომარეობის კომპლექსურ შეფასებას (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) და განსაზღვრავს გრძელვადიან ხედვასა და ეტაპობრივ ამოცანებს.

დოკუმენტის მიხედვით, სკოლის ძირითადი სტრატეგიული მიზნებია:

1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
2. ადამიანური რესურსის განვითარება;
3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა;
6. მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემის გაძლიერება;
7. ორგანიზაციული განვითარება.

დოკუმენტის სტრუქტურა ზოგადად გამართულია და ასახავს სტრატეგიული დაგეგმვის ძირითად კომპონენტებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა, გამომადინარეობს 2026 – 2033 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმიდან და შესაბამისად სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. საერთო ჯამში, გეგმა წარმოადგენს სისტემურად ჩამოყალიბებულ დოკუმენტებს, რომელიც მოიცავს სკოლის განვითარების ძირითად მიმართულებებს, მიზნებს, ამოცანებსა და მათი განხორციელების მექანიზმებს. დოკუმენტებში ასახულია როგორც სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ღონისძიებები, ისე ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სამოქმედო გეგმაში ძირითადი სტრატეგიული მიზნები დეტალურადაა გაწერილი კონკრეტულ ამოცანებში. თითოეულ ამოცანას თან ერთვის შესრულების ვადა თვეების მიხედვით, შესრულების ინდიკატორები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, ასევე ჩართული სხვა მხარეები. გარდა ამისა, სასურველია რესურსების სტრუქტურირება უფრო მკაფიოდ და სისტემურად განხორციელდეს. კერძოდ, **სასურველია ისინი დაიყოს სამ ძირითად კატეგორიად: ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები. ასეთი დაყოფა უზრუნველყოფს რესურსების უფრო გამჭვირვალე დაგეგმვას, ეფექტიან განაწილებასა და მონიტორინგს, ასევე გაამარტივებს თითოეული აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო პირობების შეფასებას.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მისია, ხედვა, ღირებულებები მეთოდოლოგიის ბრძანება
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი №3

- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი №4
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი №5
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ მექანიზმებს, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ეფექტიანი მართვისა და განვითარებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებისთვის. დოკუმენტში ჩანს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი ხორციელდება რეგულარულად - წელიწადში ორჯერ, სემესტრისა და წლის ბოლოს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროცესების პერიოდულ გადახედვასა და საჭიროების შემთხვევაში გეგმების კორექტირებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შეფასების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი, რაც ზრდის გადაწყვეტილებების ობიექტურობასა და ჩართულობას. მონიტორინგისა და შეფასების პროცესს წარმართავს როგორც სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი, ისე სკოლის დირექცია, რაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების გადანაწილებასა და შიდა კომუნიკაციის ეფექტიანობას. ამასთან, პროცესში აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული, რაც მიუთითებს თანამონაწილეობით მართვის პრინციპის დაცვაზე. დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია ანგარიშვალდებულების სისტემური ხასიათი - სკოლა ყოველწლიურად ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, ხოლო ყოველ სამ წელიწადში ერთხელ - სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას. ეს ქმნის გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვან საფუძველს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ სკოლა წლის განმავლობაში პერიოდულად ახორციელებდა სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს, რაც განიხილებოდა პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე. თუმცა აღნიშნული საქმიანობა დოკუმენტურად სრულად არ არის ასახული და არ მოიძებნება შესაბამისი მტკიცებულებები (ანგარიშები, ფორმები, ანალიზის შედეგები), რაც გაამყარებდა მონიტორინგის სისტემურობასა და სანდოობას. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა - შექმნას შესაბამისი მონიტორინგის ჯგუფი და მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებული ყველა აქტივობა ასახოს წერილობითი დოკუმენტაციის სახით - რეგულარული ანგარიშების, შეფასების ფორმების, მონაცემთა ანალიზისა და შესაბამისი დასკვნების დაფიქსირებით. ეს უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობას, გამჭვირვალობას და ხელს შეუწყობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების ეფექტიანობის გაზრდას.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის გამოქვეყნება დაგეგმილია სასწავლო წლის დასრულებისათვის. აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლა აცნობიერებს ანგარიშგების მნიშვნელობას და გეგმავს შედეგების საჯაროობას.

რჩევა: სასურველია, აღნიშნული პროცესი წარიმართოს სისტემურად და შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებებით იყოს გამყარებული. ასევე, ანგარიშში ყურადღება გამახვილდეს არა მხოლოდ განხორციელებულ აქტივობებზე, არამედ მათი ეფექტიანობის შეფასებასა და შედეგების ანალიზზე. სასურველია, დოკუმენტი მოიცავდეს კონკრეტულ მონაცემებს, მიღწეულ შედეგებს, გამოვლენილ სირთულეებსა და მომდევნო ეტაპისთვის განსაზღვრულ რეკომენდაციებს. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობას, ეფექტიანი უკუკავშირის უზრუნველყოფასა და სამოქმედო გეგმის შემდგომ გაუმჯობესებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოყენებულ იქნება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. მათივე განმარტებით, აღნიშნული პროცესი სკოლაში ხორციელდება ყოველწლიურად და ეფუძნება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განხილულ მასალებს. კერძოდ, კათედრების თავმჯდომარეებისა და სკოლის დირექციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე ხორციელდება სკოლის საქმიანობის შედეგების კომპლექსური ანალიზი. აღნიშნული პროცესი მოიცავს როგორც მიღწეული შედეგების შეფასებას, ასევე არსებული გამოწვევებისა და გაუმჯობესების საჭიროებების იდენტიფიცირებას. მიღებული დასკვნები და ანალიზის შედეგები გამოიყენება მომდევნო პერიოდის დაგეგმვისას, რაც ხელს უწყობს სკოლის განვითარების პროცესის უწყვეტობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025-26 სასწავლო წლის პირველი სემესტრის პედსაბჭოს ოქმი;
- 2025 წლის დირექტორის ანგარიში;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სამოქმედო გეგმა;
- სკოლის დირექციასტან გასაუბრების შედეგები;
- სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 29 იანვრის ბრძანებით. ექსპერტთა შეფასებით დადგინდა, რომ სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის სისტემა შეესაბამება მოქმედ რეგულაციებსა და სკოლის წესდებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული, მათ შორის: სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო და ტექნიკური პერსონალი, რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესის მრავალმხრივ და ეფექტიან განხორციელებას.

სკოლაში ფუნქციონირებს 8 კათედრა, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები. სკოლის კოლეგიური სამუშაო ჯგუფების კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად. სკოლაში დასაქმებული არიან: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ ტექნიკური, უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, 1 სკოლის ექთანი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, სკოლაში 24 მასწავლებელია - 5 წამყვანი (მათ შორის -1 ბუღალტერი), 19 უფროსი (მათ შორის - 1 ბიბლიოთეკარი, 1 დირექტორი).

დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია და emis-ში დარეგისტრირებულია - დირექტორის მოადგილე (ბრძანება N1.2/645-04/03, 2023 წლის, 03 ნოემბერი) რომელიც დირექტორის არ ყოფნის შემთხვევაში ასრულებს დირექტორის მოვალეობას, მასვე 2019 წლის 5 სექტემბრის ბრძანებით N2-81 დაკისრებული აქვს უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებლობა და გავლილი აქვს შესაბამისი მოსამზადებელი ტრენინგ-მოდულია - სერტიფიკატი N 500/15.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 13 სექტემბერი ბრძანება N 01-03/33), ასევე "დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებით" (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის ბრძანებით N01-03/24) განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ძირითად პოლიტიკა.

თანამშრომელთა საქმიანობა რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებებით, შინაგანაწესითა და შესაბამისი ადმინისტრაციული აქტებით. ხელშეკრულებები მოიცავს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, პასუხისმგებლობის წესსა და სამუშაო პირობებს. ამასთან, მასწავლებლებთან გაფორმებულია მათი პროფესიული სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

ექსპერტთა შეფასებით გამოიკვეთა, რომ სკოლის სტრუქტურული ერთეულები პასუხისმგებლობით ასრულებენ საჯარო სკოლის წესდებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებასა და მართვას. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების დებულებები და თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები მკაფიოდ განსაზღვრავს თითოეული დასაქმებულის ფუნქციებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს.

სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება განხორციელებულია თანამშრომლობისა და შედეგზე ორიენტირებული მუშაობის პრინციპით, რაც უზრუნველყოფს სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინირებულ ურთიერთობას და დადებით გავლენას ახდენს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე.

სკოლის დირექტორი ახორციელებს დაწესებულების მართვას, ხოლო მისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე, რომელიც რეგისტრირებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2026 წლის 29 იანვრის N2-31 ბრძანება სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციის შესახებ;
- 2022 წლის 15 სექტემბრის N2-60 ბრძანება სტრუქტურული ერთეულების დებულების შესახებ;
- ხელშეკრულებები თანამშრომლებთან;
- სკოლის სტრუქტურა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის ძირითად მიმართულებებსა და პრინციპებს. მისი მიზანია კვალიფიციური კადრების მოზიდვა და შენარჩუნება, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ახალი თანამშრომლების ადაპტაციის პროცესის ორგანიზება და წახალისების სხვადასხვა მექანიზმების გამოყენება.

პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება შრომითი ხელშეკრულებების, დირექტორის ბრძანებების, შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. დოკუმენტი არეგულირებს სამსახურში მიღების წესებსა და პროცედურებს, ასევე პერსონალთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ვრცელდება როგორც ძირითად შტატში დასაქმებულ პირებზე, ისე შტატგარეშე და ხელშეკრულებით მოწვეულ თანამშრომლებზე და ეფუძნება თანასწორობის პრინციპს.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის სისტემა ორგანიზებულია და შეესაბამება მოქმედ მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში მოქმედი მართვის სისტემა დაფუძნებულია პრევენციულ და საჭიროების შემთხვევაში ჩარევაზე ორიენტირებულ მიდგომებზე, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და დროულ რეაგირებას მათზე. ამ პროცესში დისციპლინური კომიტეტი წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს შიდა წესების დაცვას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის რეაგირებას, რაც ხელს უწყობს სასკოლო გარემოს წესრიგსა და სწავლა-სწავლების პროცესის სტაბილურობას.

მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მიმართულებით სკოლაში მოქმედებს სამედიცინო მომსახურების სივრცე, რაც უზრუნველყოფს ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში პირველადი დახმარების დროულ მიწოდებას. სკოლას ჰყავს ასევე მრჩეველთა საბჭო.

დასაქმებულთა სამუშაოზე გამოცხადება, დაგვიანება და არყოფნა რეგულირდება შინაგანაწესით განსაზღვრული წესების შესაბამისად. თანამშრომელი ვალდებულია წინასწარ აცნობოს ადმინისტრაციას არყოფნის შესახებ და დაასახელოს მიზეზი, ხოლო გადაუდებელ შემთხვევებში დასაშვებია ინფორმაციის მიწოდება მოკლე ვადაში.

საერთო ჯამში, სკოლაში არსებული მართვის სისტემა უზრუნველყოფს ორგანიზებულ პროცესებს, პერსონალის დისციპლინას და მოსწავლეთა მხარდაჭერაზე ორიენტირებულ გარემოს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

ექსპერტთა შეფასებით დადგინდა, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პროცესი ორგანიზებულია მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების საფუძველზე. სსიპ-ალექსანდრე საჯაიას სახელობის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის N1 საჯარო სკოლაში აღნიშნული პროცედურები ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც არეგულირებს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესს.

პედაგოგიური კადრების შერჩევა მიმდინარეობს როგორც შიდა, ასევე ღია კონკურსის ფორმატით. პროცესში ჩართულნი არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და რესურსცენტრის წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფს შერჩევის პროცესის გამჭვირვალობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. ამასთან, სკოლის საშტატო ნუსხით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტებთან.

დასაქმებულთა პირად საქმეებში დაცულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაცია. შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია პერსონალის მართვის გამართული, სამართლებრივად მოწესრიგებული და გამჭვირვალე სისტემა, რომელიც დადებით გავლენას ახდენს როგორც სასწავლო პროცესის ხარისხზე, ისე დაწესებულების ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებელი აკმაყოფილებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომელიც სკოლას დეტალურად აქვს გაწერილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. სკოლის თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია შესაბამისი სამართლებრივი ცნობები, რომლებიც ადასტურებს,

რომ მათ არ აქვთ ნასამართლობა, არ არიან მსჯავრდებულნი საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე და არ აქვთ ჩამორთმეული შესაბამისი უფლებები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად სკოლას, მასწავლებლების გარდა, სხვა პერსონალისთვის ცალკე განსაზღვრული და დოკუმენტურად გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ ჰქონდა შემუშავებული, რის გამოც ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება". თუმცა, სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და დირექტორის 2026 წლის 21 მაისის N2-68 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულების" საფუძველზე დადასტურდა, რომ აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია და მოთხოვნები სრულად არის დაკმაყოფილებული. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

პერსონალთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობაზე დაფუძნებული ორგანიზაციული კულტურა, სადაც თანამშრომლებს შორის აქტიურად ხდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება და ეფექტიანი პრაქტიკების ერთობლივად დანერგვა. პრობლემური საკითხები განიხილება კოლექტიურად, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილებების უფრო შეთანხმებულ და მიზანმიმართულ მიღებას.

საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება და შეფასების რუბრიკების დახვეწა, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.

სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული: მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო და მრჩეველთა საბჭო - საქმიანობაში ხელმძღვანელობს თანამშრომლობითი პრინციპებით, რაც აძლიერებს საერთო მიზნებზე ორიენტირებულ მუშაობას და სკოლაში პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დამაკმაყოფილებელია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში თითოეული მოსწავლისა და თანამშრომლის მიღწევა განიხილება როგორც მთლიანად სკოლის წარმატების ნაწილი. ამ მიდგომის შესაბამისად, სასკოლო საზოგადოება აქტიურად აღიარებს და მხარს უჭერს წევრთა წარმატებებს სხვადასხვა ფორმით. სკოლის მიერ გამოიყენება წახალისების სხვადასხვა მექანიზმი, მათ შორის საპატიო სიგელებით დაჯილდოება, მადლობის გამოცხადება და წარმატებული საქმიანობის საჯარო აღნიშვნა. ასევე, მიღწევების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სკოლის სოციალურ გვერდზე, რაც ხელს უწყობს მათი ფართო საზოგადოებისათვის გაზიარებას.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების კონკრეტული მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სისტემურ და სამართლიან მიდგომას მოტივაციის ამაღლების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დამაკმაყოფილებელია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საშტატო განრიგი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- თანამშრომლეთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;

- eschool ბაზის მონაცემები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- პედსაბჭოს სხდომის ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, სკოლა განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვისა და მონიტორინგის პროცესს. აღნიშნული პროცესი ორიენტირებულია დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და მათი შესაძლებლობების ეფექტიან რეალიზებაზე, რაც დადებითად აისახება როგორც თანამშრომელთა საქმიანობის ხარისხზე, ისე სკოლის ორგანიზაციულ განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ სკოლა იყენებს შეფასების მრავალფეროვან მექანიზმებს - თვითშეფასებას, სასკოლო საზოგადოების მიერ კითხვარების საფუძველზე განხორციელებულ შეფასებას, კრიტიკული შემთხვევების ანალიზს, სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების შეფასებას, ასევე სამუშაო და სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, რაც შეფასების პროცესს მეტად სისტემურსა და მრავალმხრივს ხდის.

მასწავლებელთა შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მიზნით სკოლაში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს საგნობრივ კათედრებთან და რეგულარულად ახორციელებს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ სკოლა პროფესიული მხარდაჭერის პროცესს განიხილავს არა მხოლოდ კონტროლის, არამედ განვითარების ხელშემწყობ მექანიზმად. ექსპერტული შეფასებით, სკოლაში არსებული პერსონალის მართვისა და შეფასების სისტემა პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნებს, რადგან შეფასების პროცესები არის მრავალკომპონენტიანი, განვითარებაზე ორიენტირებული და უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიული ზრდის მხარდაჭერას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარება, დირექციის განმარტებით, ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, რაც პროცესს მეტად მიზნობრივსა და შედეგზე ორიენტირებულს ხდის. მასწავლებლებისთვის ორგანიზდება შესაბამისი ტრენინგები და ვორქშოფები, რომლებიც უზრუნველყოფილია როგორც შიდა სასკოლო ადამიანური რესურსების გამოყენებით, ისე გარე პროფესიული მხარდაჭერის მექანიზმებით. პერსონალის საჭიროების დადგენის მიზნით შემუშავებულია - სკოლის ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები.

აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს პროფესიული ცოდნის განახლებას, თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების დანერგვასა და თანამშრომელთა პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებას.

დირექციისვე განმარტებით, სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი პროფესიული კულტურა, რაც გამოიხატება მასწავლებლებს შორის გამოცდილების სისტემურ გაზიარებასა და „კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტის ფუნქციონირებაში. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს კოლეგიალურ მხარდაჭერას, რეფლექსიასა და პროფესიულ თვითგანვითარებას. ექსპერტული შეფასებით, სკოლაში არსებული პრაქტიკა ქმნის პროფესიული განვითარების უწყვეტ და მხარდამჭერ გარემოს, რომელიც ორიენტირებულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და თანამშრომელთა პროფესიულ ზრდაზე.

ამასთან, სასურველია პროფესიული განვითარების პროცესების უფრო მეტად დოკუმენტირება და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე გრძელვადიანი პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება, რომელშიც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, ვადები და მოსალოდნელი შედეგები. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროცესის სისტემურობას, განხორციელებული აქტივობების შეფასებასა და პროფესიული განვითარების შედეგების უკეთ მონიტორინგს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

გასაუბრებისა და წარმოდგენილი სერტიფიკატების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის დირექცია აქტიურად უწყობს ხელს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას სხვადასხვა ტრენინგისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. დირექცია სისტემატურად აწვდის მასწავლებლებს ინფორმაციას მიმდინარე აქტივობებზე, უზიარებს შესაბამის ბმულებს უფასო ონლაინტრენინგებსა და საგანმანათლებლო პლატფორმებზე რეგისტრაციის მიზნით, ასევე თანამშრომლობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან და უზრუნველყოფს იმ მასწავლებელთა მონაცემების წარდგენას, რომლებიც პროფესიულ გადამზადებაში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ.

დირექციის განმარტებით, ახალი პროფესიული სქემის ამოქმედების შემდეგ მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მეტად მოტივირებულია კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების გამოყენების მიმართულებით, რაშიც სკოლა მათ შესაბამის მხარდაჭერას უწევს. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ სკოლაში არსებობს პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემო და ადმინისტრაცია ასრულებს მხარდამჭერ და ხელშემწყობ როლს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლისა და სკოლის პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან და ქმნის პირობებს მათი პროფესიული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებისთვის. მასწავლებლებს, საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებლობა აქვთ თავისუფლად გამოიყენონ სასკოლო სივრცეები და რესურსები სასწავლო თუ პროფესიული საქმიანობის მხარდასაჭერად. სკოლაში მოწყობილია სხვადასხვა ფუნქციური სამუშაო სივრცე, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი და სპორტდარბაზი, რაც ხელს უწყობს როგორც სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას, ისე თანამშრომელთა პროფესიულ საქმიანობას. სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსებით, რაც ქმნის უსაფრთხო და ორგანიზებულ სამუშაო გარემოს. ამასთან, სკოლაში დანერგილია ახალდანიშნული თანამშრომლების სოციალიზაციისა და ადაპტაციის პრაქტიკა, რომლის მიზანია მათი

სამუშაო პროცესებში სწრაფი და ეფექტიანი ჩართვა, სამუშაო გარემოსა და შინაგანაწესის გაცნობა. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი, რაც ადასტურებს, რომ სკოლა სისტემურად ეკიდება თანამშრომელთა მხარდაჭერისა და ადაპტაციის საკითხს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლამ წარმოადგინა სსიპ ალექსანდრე საჯაიას სახელობის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის N1 საჯარო სკოლის „საპრემიო ფონდის დებულება“, რომლის მიზანია თანამშრომელთა წახალისების მექანიზმების განსაზღვრა. დებულება მოიცავს როგორც წახალისების საფუძვლებს, ასევე ფორმებსა და გამოყენების წესს.

დოკუმენტის ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში პერსონალის მოტივაციისა და წახალისების საკითხი რეგულირებულია შიდა სამართლებრივი აქტით, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან აღნიშნული უზრუნველყოფს პროცესის ორგანიზებულობასა და ინსტიტუციურ ხასიათს. დებულებაში განსაზღვრულია საპრემიო ფონდის მიზნები, მათ შორის: სკოლაში კეთილსინდისიერი შრომის, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში მიღწევებისა და სასკოლო საქმიანობაში აქტიური ჩართულობის წახალისება. ასევე, წარმოდგენილია წახალისების ფორმები - მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა, ფულადი პრემია და სხვა წამახალისებელი ღონისძიებები, რაც მრავალფეროვან და მოტივაციაზე ორიენტირებულ მიდგომაზე მიუთითებს.

დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოებაც, რომ დოკუმენტი განსაზღვრავს წახალისების გამოყენების წესსა და პასუხისმგებელ პირებს, რაც პროცესის ადმინისტრირებას უფრო გამჭვირვალეს ხდის. ამასთან, დებულება ქმნის სამართლებრივ საფუძველს თანამშრომელთა საქმიანობის აღიარებისა და პროფესიული მოტივაციის მხარდაჭერისთვის.

პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, ასახულია სკოლის შინაგანაწესშიც და მიუთითებს, რომ თანამშრომელთა მხარდაჭერა და მოტივაციის გაზრდა წარმოადგენს სკოლის ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს. ადმინისტრაცია ხელს უწყობს პროფესიულ აქტივობებში ჩართულობასა და თანამშრომელთა მიღწევების აღიარებას, რაც დადებით გავლენას ახდენს როგორც პროფესიულ გარემოზე, ისე თანამშრომელთა მოტივაციაზე.

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში საზეიმო ღონისძიებაზე, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის საფუძველზე, სახელდებიან წლის გამორჩეული მასწავლებლები და გადაეცემათ მადლობის სიგელები. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს პროფესიული საქმიანობის დაფასებას, თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებასა და კოლეგიალური მხარდაჭერის კულტურის გაძლიერებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადმინისტრაციისა და ტექპერსონალის შეფასების დებულება;
- ბრძანება მასწავლებელთა ადაპტაციაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- მასწავლებლის ადაპტაციის დებულება;
- დირექტორის ბრძანება საპრემიო ფონდის დებულების შესახებ;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- მასწავლებელთა სერტიფიკატები;
- საპრემიო ფონდის დებულება;

- სკოლის ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სსიპ ალექსანდრე საჯაიას სახელობის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის N1 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, შესაბამისად სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომას, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. აღნიშნული დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმის, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის, სტრატეგიული დაგეგმვის მიდგომებისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესით.

როგორც დადგინდა, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მართვაში სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობას, რაც გულისხმობს როგორც ინფორმირებას, ისე აქტიურ მონაწილეობას. ეს პროცესი ხორციელდება სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრების საშუალებით (მასწავლებლებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან და მშობლებთან), სადაც ინტერაქტიული განხილვები საფუძვლად ედება სასკოლო აქტივობებისა და ღონისძიებების დაგეგმვას. ასეთი ფორმატის შეხვედრები ასევე გამოიყენება განხორციელებული აქტივობების შეფასებისთვის, რაც ხელს უწყობს მართვის პროცესის გაუმჯობესებას.

დოკუმენტის ანალიზის შედეგად ექსპერტთა მიერ **გაიცა რჩევა** – ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს შეფასებას დაქვემდებარებული სასკოლო საქმიანობის კონკრეტული მიმართულებები, შეფასების განხორციელების პერიოდულობა, პროცესის ეტაპები და მათი თანმიმდევრობა, ასევე გამოყენებული ინსტრუმენტები და თითოეული ეტაპის პასუხისმგებელი პირები. ასეთი დეტალიზაცია გააძლიერებს პროცესის სისტემურობას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, რაც მნიშვნელოვანია ხარისხის მართვის ეფექტიანობისთვის. გარდა ამისა, სასურველია დოკუმენტში აისახოს შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმებიც - როგორ ხდება მონაცემთა ანალიზი, რა პროცედურებით მიიღება გადაწყვეტილებები და როგორ აისახება მიღებული შედეგები სკოლის შემდგომ საქმიანობასა და განვითარებაზე. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს ხარისხის მართვის ციკლის სრულფასოვან ფუნქციონირებას და ხელს შეუწყობს სკოლის უწყვეტ გაუმჯობესებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები განსაზღვრულია და ასახულია სხვადასხვა შიდა დოკუმენტში, თუმცა პროცესები ერთიან, სისტემურ დოკუმენტად ჩამოყალიბებული არ არის. აღნიშნულთან დაკავშირებით **სკოლას მიეცა რჩევა - სასურველია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები გაიწეროს ცალკე დოკუმენტად, რაც ხელს შეუწყობს პროცესების უფრო მკაფიო აღწერას, პასუხისმგებლობების განსაზღვრას, საქმიანობის კოორდინაციასა და ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესებას.**

ამასთან სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს ადმინისტრაციული მართვის ძირითად ასპექტებს, მათ შორის ფუნქციების განაწილებას, პასუხისმგებლობებსა და ანგარიშვალდებულების სისტემას. ამასთან, ცალკეული მიმართულებები, როგორიცაა საკადრო მართვა, დისციპლინური პროცედურები და შრომითი ურთიერთობები, რეგულირდება შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტებითა და შრომითი ხელშეკრულებებით. საგანმანათლებლო პროცესის ძირითადი კომპონენტები ასახულია როგორც შინაგანაწესში, ისე შესაბამის სასწავლო დოკუმენტებში, ხოლო საქმისწარმოება ხორციელდება დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

სკოლაში არსებული საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო და მოსწავლეთა თვითმმართველობა უზრუნველყოფს პროცესების კოლეგიალურ მართვასა და მრავალმხრივი ხედვის გათვალისწინებას. სკოლის ადმინისტრაცია სისტემატურად აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხს, მისი შეფასებისა და მონიტორინგის შედეგების საფუძველზე. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო და პედაგოგიური საბჭო, რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო საქმიანობის მართვასა და განვითარებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სსიპ ალექსანდრე საჯაიას სახელობის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 28 იანვრის N 2-25 ბრძანებით დამტკიცებულია - განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობას. აღნიშნული პროცედურები დეტალურად არის გაწერილი შინაგანაწესშიც და პრაქტიკაში გამოიყენება არსებული წესების შესაბამისად. სკოლაში შემოსული განცხადებები რეგისტრირდება საკანცელარიო ჟურნალში და მათი შინაარსის შესაბამისად ტარდება შესაბამისი რეაგირების ღონისძიებები. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარში იკვეთება დისციპლინური გადაცდომის ნიშნები, საკითხს თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, რომლის საქმიანობა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და სკოლის შინაგანაწესით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სსიპ ალექსანდრე საჯაიას სახელობის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის N1 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა და პერსონალის უფლება-მოვალეობები მკაფიოდ არის განსაზღვრული შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში - შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში. აღნიშნული უზრუნველყოფს თითოეული მხარის როლის, პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების წინასწარ და ნათლად განსაზღვრას.

მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები ასახულია შინაგანაწესში, სადაც რეგულირდება მათი ქცევის წესები, სასწავლო პროცესში ჩართულობა და სკოლის შიდა წესრიგის დაცვა. პერსონალის შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულებები განსაზღვრავს როგორც პროფესიულ ვალდებულებებს, ისე უფლებებსა და პასუხისმგებლობებს, რაც ქმნის სამართლებრივად გამართულ და მკაფიო სამუშაო ჩარჩოს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მშობლის უფლებები და ვალდებულებები დეტალურად არის გაწერილი მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელშეკრულებაში. ეს ხელს უწყობს მშობლების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, აუმჯობესებს კომუნიკაციას სკოლასა და ოჯახს შორის და უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების სწორ განაწილებას.

საბოლოოდ, სკოლაში ჩამოყალიბებულია უფლებებსა და ვალდებულებებზე დაფუძნებული სისტემა, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვასა და ორგანიზაციული სტაბილურობის უზრუნველყოფას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მშობლის/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ალექსანდრე საჯაიას სახელობის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის N1 საჯარო სკოლაში განცხადების/საჩივრის განხილვის წესი,
- სსიპ ალექსანდრე საჯაიას სახელობის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის N1 საჯარო სკოლის "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა".

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით აქტიურად იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ელექტრონულ საშუალებებს, მათ შორის ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელებს, მესენჯერ ჯგუფებსა და „TEAMS" პლატფორმას.

სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები ატარებენ მშობელთა კრებებს, სადაც მშობლებI ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოთა ნუსხასა და იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რომლებიც იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში. შეხვედრების ფარგლებში დამრიგებლები ისმენენ მშობელთა წინადადებებს, სურვილებსა და რეკომენდაციებს და მათგან საუკეთესოებს ითვალისწინებენ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

ოდიშის საჯარო სკოლაში დანერგილია თანამშრომლობასა და თანამონაწილეობაზე ორიენტირებული მართვის მიდგომა, რაც სასკოლო საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას აქტიურად იყოს ჩართული როგორც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ისე სკოლის განვითარების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კოლეგიური სტრუქტურა - სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო და მოსწავლეთა თვითმმართველობა. აღნიშნული ორგანოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სკოლის საქმიანობის დაგეგმვაში, საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებასა და განვითარების საკითხების განხილვაში. მათი მონაწილეობა გამოიხატება როგორც სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრაში, ასევე მიმდინარე სასწავლო პროცესის შეფასებასა და მხარდაჭერაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების, მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის ამსახველი ოქმები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- გასაუბრების სედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიმართულებით დანერგილია შესაბამისი მექანიზმები და პროცედურები. მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომლებისათვის შექმნილია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო. სკოლის ეზო შემოსაზღვრულია ბადით, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით სკოლაში დასაქმებულია 2 დარაჯი, ხოლო შესვენებების პერიოდში მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა. ვიზიტორთა კონტროლის მიზნით იწარმოება სპეციალური აღრიცხვის ჟურნალი. დირექცია და კლასის დამრიგებლები სისტემატურად აკონტროლებენ მოსწავლეთა დასწრებას; მოსწავლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ხდება მისი იდენტიფიცირება და მშობელთან დაკავშირება არყოფნის მიზეზის დასადგენად.

სკოლას შემუშავებული აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (17.12.2024; MIA 3-24 03823664), რომელიც დამტკიცებულია 2024 წლის 3 დეკემბრის №2-79 ბრძანებით და შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სკოლამ ავტორიზაციის განაცხადთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის წარმოდგენა დაგეგმილი იყო 2026 წლის 30 დეკემბრამდე. თუმცა, ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა, რაც ადასტურებს, რომ სკოლის შენობის ამჟამინდელი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და უსაფრთხოა ექსპლუატაციისთვის.

ამასთანავე, სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გაგზავნილი კორესპონდენცია შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. სკოლის ორივე სართულზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები, ცეცხლმაქრები და უსაფრთხოების მიმანიშნებელი ნიშნები. სკოლას განსაზღვრული ჰყავს აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი (2024 წლის 3 დეკემბრის №2-78 ბრძანება).

უსაფრთხოების დამატებითი მექანიზმების გაძლიერების მიზნით, სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტში გაგზავნილია მიმართვა სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით აღჭურვის თაობაზე (წერილის რეგისტრაციის №MES 9260000092979; 30.01.2026). ამავდროულად, სკოლის ეზოში არსებული ჭა არ არის უსაფრთხოდ დაცული და წარმოადგენს საფრთხეს მოსწავლეთათვის, ხოლო სპორტული დარბაზის დიდი ფანჯრები არ არის აღჭურვილი უსაფრთხოების ბადით. ასევე, საჭიროებს მოწყობასა და შესაბამისი ინვენტარით სრულყოფილ აღჭურვას საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. აღნიშნული საკითხების მოგვარება სკოლას განსაზღვრული აქვს შესაბამისობის გეგმით 2026 წლის დეკემბრამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას მიეცა შემდეგი შესაბამისობის რეკომენდაციები:

- **შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.01.2026 – 30.12.2026) განახორციელოს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოწყობა სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე.**
- **უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა (ონკანი, გამწოვი კარადა) შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.02.2026 – 30.12.2026).**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სპორტული დარბაზის დიდი ფანჯრების უსაფრთხოების ბადით აღჭურვისა და სკოლის ეზოში არსებული ჭის უსაფრთხოდ დაცვის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები განხორციელებულია. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისი ფოტომასალა, რომელმაც დაადასტურა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები შესრულებულია და ამ მიმართულებით გამოვლენილი ხარვეზები აღმოფხვრილია.

ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად შესაბამისია.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლის დირექტორის 2026 წლის 29 იანვრის ბრძანებით N2/28 დამტკიცებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს გადაუდებელ შემთხვევებში მოქმედების წესსა და პასუხისმგებელ პირთა ფუნქციებს. სკოლაში დასაქმებულია კვალიფიცირებული ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას.

სკოლაში ფუნქციონირებს სპეციალურად გამოყოფილი სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი ინვენტარითა და პირველადი საჭიროების მედიკამენტებით. არსებული რესურსები და მექანიზმები ხელს უწყობს უსაფრთხო და დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდებას სასკოლო სივრცეში.

შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლა ფუნქციონირებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დამტკიცებული„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესებისა და პირობების“ მოთხოვნებთან შესაბამისად.

წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის პროცესს კოორდინაციას უწევს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე. უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაში ასევე ჩართულნი არიან მორიგე მასწავლებლები, სკოლის დარაჯი, კლასის დამრიგებლები და სკოლის ადმინისტრაცია.

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს, ასევე მოქმედებს ვიზიტორთა კონტროლის მექანიზმი. სასკოლო სივრცეში შემოსული თითოეული პირის ვიზიტი რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში, სადაც ფიქსირდება ვიზიტის მიზანი, შემოსვლისა და გასვლის დრო, ასევე ვიზიტორის საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი, გვარი და ტელეფონის ნომერი). რეგისტრაციის შემდეგ ვიზიტორს გადაეცემა სპეციალური ბეიჯი „სკოლის სტუმრის” სტატუსით, რაც უზრუნველყოფს მის იდენტიფიცირებას და სკოლის ტერიტორიაზე კონტროლირებულ გადაადგილებას.

არსებული მექანიზმები და პროცედურები უზრუნველყოფს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ეფექტიან დაცვას. **შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ალექსანდრე საჯაიას სახელობის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის №1 საჯარო სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთათვის ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლა თანმიმდევრულად ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა კეთილდღეობის, ურთიერთპატივისცემისა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული სასკოლო კულტურის განვითარებისკენ.

სკოლაში მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვასა და უსაფრთხო გარემოს განმტკიცებას. დამრიგებლები აქტიურად თანამშრომლობენ მოსწავლეებთან და სისტემატურად ატარებენ შეხვედრებს, სადაც განიხილება ქცევასთან, ურთიერთობებთან და ემოციურ კეთილდღეობასთან დაკავშირებული საკითხები.

სკოლა ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეთა საჭიროებების დროულ გამოვლენასა და შესაბამის მხარდაჭერაზე. არსებული მექანიზმები უზრუნველყოფს პრობლემების ადრეულ იდენტიფიცირებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის რეაგირებას. ამ მიმართულებით ეფექტიანად გამოიყენება სკოლის ხელთ არსებული რესურსები.

მასწავლებლები ფლობენ ინფორმაციას ძალადობის შესაძლო ნიშნების ამოცნობისა და რეაგირების პროცედურების შესახებ. სკოლაში მოქმედი შიდა რეგულაციები და რეფერირების მექანიზმები უზრუნველყოფს ძალადობის ან შესაძლო რისკის შემთხვევებზე დროულ და მიზანმიმართულ რეაგირებას, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა უსაფრთხოების განცდასა და სასკოლო გარემოსადმი ნდობის ზრდაზე.

სასწავლო პროცესში მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები, ჩაერთონ დისკუსიებში, ისაუბრონ პრობლემებზე და გააზიარონ საკუთარი მიღწევები. მასწავლებლების მხარდამჭერი დამოკიდებულება და თანამშრომლობაზე ორიენტირებული გარემო ხელს უწყობს მოსწავლეებში პასუხისმგებლობის, ინიციატივისა და თვითდაჯერებულობის განვითარებას.

შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ორიენტირებული ეფექტიანი და სისტემური მიდგომები, რაც ქმნის სტაბილურ, უსაფრთხო და მხარდამჭერ სასწავლო გარემოს.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები და უზრუნველყოფილია სუფთა, უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო. სველი წერტილები გამართული და ფუნქციურია, მათ შორის მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილიც, რაც ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს შექმნას.

სკოლის საკლასო ოთახები, დერეფნები და საერთო გამოყენების სივრცეები ყოველდღიურად მუშავდება სველი წესით. აღნიშნულ პროცესს უზრუნველყოფს ორი დამლაგებელი, რომლებიც ზრუნავენ სასწავლო გარემოს სისუფთავისა და ჰიგიენური პირობების დაცვაზე. მოწესრიგებულია ასევე სკოლის ეზოც, რაც დამატებით ქმნის უსაფრთხო და კომფორტულ გარემოს მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის.

დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც სისტემატურად აკონტროლებს სკოლაში ჰიგიენური მოთხოვნების შესრულებას და შესაბამისი პირობების შენარჩუნებას.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა და შექმნილია უსაფრთხო, სუფთა და მოწესრიგებული გარემო.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლაში უზრუნველყოფილია პერსონალური მონაცემების დაცვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტაციის მიღებაზე, სწორად შენახვასა და საჭიროების შემთხვევაში კანონით დადგენილი წესით გაცემაზე. სკოლა უზრუნველყოფს, რომ პერსონალური ინფორმაცია დაცული იყოს მესამე პირების არასანქცირებული წვდომისგან.

დამრიგებლები ინდივიდუალურად აწვდიან მშობლებს ინფორმაციას მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და განვითარების შესახებ, რაც ხორციელდება კონფიდენციალურობის პრინციპების დაცვით. მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ და დაცულ სივრცეში, რომელზეც პასუხისმგებლობა ეკისრება საქმისმწარმოებელს.

კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, სკოლაში დანიშნულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავების პროცესების შესაბამისობას მოქმედ ნორმებთან. აღნიშნული ფუნქციები და ვალდებულებები განსაზღვრულია დირექტორის 2025 წლის 24 მარტის №2-12 ბრძანებით, რომელიც არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობასა და პასუხისმგებლობებს.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დაცულია პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება და მოქმედებს შესაბამისი სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმები.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლაში, მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და შენახვა ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების სრული დაცვით. სკოლა მონაცემებს ამუშავებს მხოლოდ კანონიერ საფუძველზე და უზრუნველყოფს მათ დაცვას ისეთი რისკებისგან, როგორიცაა შემთხვევითი ან უკანონო განადგურება, დაკარგვა ან არასანქცირებული გამოყენება. ამ მიზნით, სკოლაში განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით მიწოდებას.

სკოლას ემსახურება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დანიშნული IT მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებასა და უსაფრთხოებას. სკოლის კომპიუტერულ ტექნიკაზე დაყენებულია ანტივირუსული პროგრამები, ხოლო სტრუქტურული ერთეულების კომპიუტერები დაცულია ინდივიდუალური პაროლებით, რაც დამატებით უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას.

არსებული ორგანიზაციული და ტექნიკური მექანიზმები უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცულობასა და მონაცემთა უსაფრთხო მართვას.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლის უსაფრთხოების მართვის სისტემაში მრჩეველთა საბჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ის უზრუნველყოფს პროცესების კოორდინაციასა და მუდმივ გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მუშაობას. საბჭო უსაფრთხოების მიმართულებით პასუხისმგებლობას იზიარებს და აერთიანებს როგორც ადმინისტრაციული, ისე პედაგოგიური პერსონალის წარმომადგენლებს, რაც ხელს უწყობს ერთიანი და შეთანხმებული მიდგომის ჩამოყალიბებას.

საბჭოს მიერ დანერგილია მორიგეობისა და მონიტორინგის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო პროცესების სისტემურ ზედამხედველობას, ამცირებს შესაძლო რისკებს და ზრდის კონტროლის ეფექტიანობას. შედეგად, უსაფრთხოების მართვა ხორციელდება უფრო ორგანიზებულად და მიზანმიმართულად, თუმცა პროცესების გაუმჯობესების მიზნით, ექსპერტთა მიერ გაიცა **რჩევა** - სასურველია, მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით უსაფრთხოების საკითხების შეფასებისა და ანალიზის ერთიანი, სტანდარტიზებული მიდგომის შემუშავება, ასევე ინციდენტების აღრიცხვისა და მონიტორინგის სისტემის (ჟურნალის ან ელექტრონული ბაზის) დანერგვა. აღნიშნული უზრუნველყოფს რისკების უფრო ზუსტ იდენტიფიცირებას, პრევენციული ღონისძიებების მიზნობრივ დაგეგმვას, პროცესების გამჭვირვალობის ამაღლებას და უსაფრთხოების მართვის სისტემის გაძლიერებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- დირექტორის ბრძანება სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრაზე;
- წერილი სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტს ვიდეოკამერების დამონტაჟების შესახებ;
- სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ;
- ბრძანება პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის შესახებ;
- ექიმის პირადი საქმე;
- ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანისვნის შესახებ;

- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- ბრძანება საქმისწარმოებაზე;
- ბრძანება პერსონალურ დაცვის ოფიცერზე;
- ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმებზე.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ ალექსანდრე საჯაიას სახელობის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის №1 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს ორსართულიან შენობაში, (მიწის ნაკვეთი 8235კვ.მ; შენობის ფართი 732.38 კვ.მ. დასტურდება ამონაწერით იურიდიულ პირთა რეესტრიდან) რომელიც უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო ძირითადი ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სკოლის ეზო შემოღობილია, შენობაში მოწყობილია 12 საკლასო ოთახი, დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, რესურსოთახი, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, ინფორმაციუ ლ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კაბინეტი და სხვა დამხმარე სივრცეები.

საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სასწავლო პროცესისთვის საჭირო სხვა ინვენტარით. სპორტული დარბაზი უზრუნველყოფილია შესაბამისი სპორტული ინვენტარით, რაც ხელს უწყობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტული აქტივობების ეფექტიან განხორციელებას.

სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია 10 პერსონალური კომპიუტერითა და 4 ლეპტოპით. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია პერსონალური კომპიუტერი და პრინტერი, ხოლო სამასწავლებლო აღჭურვილია ორი კომპიუტერითა და პრინტერით. რესურსოთახი უზრუნველყოფილია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნას.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები უზრუნველყოფს ერთ ცვლაში 250 მოსწავლისათვის სასწავლო პროცესის ეფექტიან და უსაფრთხო ორგანიზებას და შეესაბამება განსაზღვრულ ზღვრულ შესაძლებლობებს.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა და რესურსები ეფექტიანად და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპით გამოიყენება სასკოლო საზოგადოების ინტერესებისათვის სხვადასხვა სივრცით სარგებლობის მიზნით სკოლაში განსაზღვრულია შესაბამისი წესები და პროცედურები, მათ შორის ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი, რაც უზრუნველყოფს რესურსების ორგანიზებულ და ეფექტიან გამოყენებას.

კომპიუტერული ლაბორატორია აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, აქ ტარდება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაკვეთილები, ასევე ფიზიკის გაკვეთილები ვირტუალური ლაბორატორიის რესურსების გამოყენებით. სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა ინტერნეტისა და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით მოამზადონ სასკოლო პროექტები და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობა.

ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, ფოიეში გამოყოფილი სივრცეები და სკოლის ეზო აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიების, კლუბური მუშაობისა და შეხვედრების ჩასატარებლად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებასა და სასკოლო ცხოვრების გააქტიურებას.

სკოლაში კეთილმოწყობილია რესურსოთახი, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი ინვენტარითა და თვალსაჩინო მასალებით. აღნიშნული სივრცე ხელს უწყობს მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნას და დამატებითი საგანმანათლებლო მხარდაჭერის განხორციელებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლაში უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო სერვისების ორგანიზებული და ხელმისაწვდომი ფუნქციონირება დადგენილი წესების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკის რესურსების (3950 წიგნადი ერთეული) გამოყენების პირობებსა და მომხმარებელთა პასუხისმგებლობებს. ასევე მოქმედებს ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც არეგულირებს ბიბლიოთეკის საქმიანობასა და მომსახურების პროცესს.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, რომელიც პასუხისმგებელია საბიბლიოთეკო რესურსების აღრიცხვაზე, დაცვასა და მომხმარებელთა მომსახურებაზე. ბიბლიოთეკაში სისტემურად არის ორგანიზებული და რეგისტრირებული სახელმძღვანელოები, მხატვრული და პროფესიული ლიტერატურა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო პროცესის ეფექტიან მხარდაჭერასა და მოსწავლეთა და მასწავლებელთა საგანმანათლებლო ინტერესების გაღრმავებას.

ბიბლიოთეკარი აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურული აქტივობის დაგეგმვასა და განხორციელებაში. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით არაერთი საინტერესო პროექტი და ღონისძიება განხორციელდა. მათ შორის აღსანიშნავია პოეტ ალექსანდრე საჯაიას 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც ტარდება კონკურსი - „ვინ უფრო მეტი ლექსი იცის მისი შემოქმედებიდან“. ასევე განხორციელდა პროექტები: „ჭაბუკი ჩემი სოფლიდან“-ალექსანდრე საჯაიას იუბილეს აღნიშვნა და ფოტოალბომის შექმნა; კვლევითი პროექტი — „ჩემი სოფლის ისტორია“, რომლის შედეგად მომზადდა წიგნი სოფლის ისტორიის შესახებ. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში კვლევითი, შემოქმედებითი და კულტურული ინტერესების განვითარებას, ასევე ადგილობრივი ისტორიისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურა მეტწილად უზრუნველყოფს ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას. სკოლის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი, მოწესრიგებულია სველი წერტილები, მათ შორის ფუნქციონირებს ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლაში მოქმედებს რესურსოთახი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებასა და შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფას.

საკლასო ოთახები, დირექციისა და ადმინისტრაციის კაბინეტები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ხოლო საერთო სარგებლობის სივრცეები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ფოიეებში განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც ქმნის პოზიტიურ და მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოს. სკოლის შიდა სივრცესა და ეზოს პერიმეტრზე გადაადგილება ძირითადად ხელმისაწვდომია და შესაძლებელია მნიშვნელოვანი დაბრკოლებების გარეშე.

ამასთან, გამოვლინდა, რომ სკოლის მეორე სართულზე გადაადგილებისთვის, სადაც განთავსებულია ბიბლიოთეკა და ისტ-ის კაბინეტი, არ იყო მოწყობილი შესაბამისი ადაპტირებული საშუალება (პანდუსი/ლიფტი), რაც სრულად ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის მიმართულებით გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენდა. თუმცა, სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და ფოტომასალის საფუძველზე დადასტურდა, რომ აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია და შშმ პირებისთვის/მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია მეორე სართულზე უსაფრთხო და ხელმისაწვდომი გადაადგილების შესაძლებლობა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი აღარ წარმოადგენს ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემაფერხებელ გარემოებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობილი და მრავალფეროვანი სოციო-კულტურული გარემო, რომელიც მხარს უჭერს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და განვითარებას. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, ფოიე და ეზო, რომლებიც გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო, ისე კულტურულ-შემეცნებითი აქტივობების განსახორციელებლად.

სხვადასხვა სივრცეში რეგულარულად ტარდება სასკოლო და თემატური ღონისძიებები, მათ შორის სასწავლო წლის დაწყებისა და დასრულებისადმი მიძღვნილი აქტივობები, საშემოდგომო და საახალწლო ღონისძიებები, დედის დღისადმი მიძღვნილი შეხვედრები, დედაენის დღის აღნიშვნა, სპორტული შეჯიბრებები, ფილმების ჩვენება და დისკუსიები. ასევე ხორციელდება მრავალფეროვანი სასწავლო-შემეცნებითი და სპორტული აქტივობები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალური, კულტურული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

სკოლა უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისთვის საჭირო ძირითადი რესურსებით. ფუნქციონირებს ინტერნეტით უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია, რაც ხელს უწყობს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო პროცესში და ზრდის მოსწავლეთა ინფორმაციულ ხელმისაწვდომობას.

აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ბიბლიოთეკის მუშაობის წესი;
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში არსებული ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან ორგანიზებას. სკოლა უზრუნველყოფილია იმ ტექნიკური რესურსებით, რომლებიც აუცილებელია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების განხორციელებისა და თანამედროვე სასწავლო გარემოს მხარდაჭერისათვის.

სკოლის ადმინისტრაცია და დირექცია აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით, მათ შორის გამოიყენება 4 პროექტორი და 3 პრინტერ-სკანერი, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის მართვისა და სასწავლო პროცესის ტექნიკურ მხარდაჭერას.

შესაბამისი ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი და რესურსთახი, სადაც ხელმისაწვდომია კომპიუტერები და ლეპტოპები. აღნიშნული ტექნიკა გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესის მხარდაჭერისთვის, ისე სხვადასხვა საგანმანათლებლო და მხარდამჭერი სერვისის განსახორციელებლად.

ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტი აღჭურვილია 10 კომპიუტერით მოსწავლეთათვის და 1 კომპიუტერით მასწავლებლისათვის, რაც უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიების გაკვეთილების ეფექტიან წარმართვას და მოსწავლეთა პრაქტიკული უნარების განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისათვის, ისე პერსონალისათვის, სკოლის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ტექნოლოგიების კაბინეტით სარგებლობის წესი, რომელიც არეგულირებს ტექნიკური რესურსების გამოყენებას და უზრუნველყოფს მათი ეფექტიანად და უსაფრთხოდ გამოყენებას.

მასწავლებლებს სასწავლო პროცესში აქტიურად გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი აქვთ პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, პროექტორი და სხვა ტექნიკური საშუალებები, რაც ხელს უწყობს საგნობრივი პროგრამების მიზნების განხორციელებასა და თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტები);
- კომიუტერული ლაბორატორიის მოხმარების წესი;

- სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სოფელ ოდიშის საჯარო სკოლაში საქმისწარმოების პროცესი რეგულირდება დირექტორის ბრძანებით (2022 წლის 14 სექტემბერი, N 2-55) დამტკიცებული დოკუმენტით, რომელიც განსაზღვრავს დოკუმენტბრუნვის ერთიან წესებს და უზრუნველყოფს მისი ორგანიზებული და გამჭვირვალე წარმართვას. აღნიშნული წესები სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლისთვის.

დადგენილი რეგულაციების შესაბამისად ხორციელდება შემოსული და გასული კორესპონდენციის, ასევე სკოლის მიერ გამოცემული აქტების რეგისტრაცია და აღრიცხვა. საქმისწარმოების პროცედურები მოიცავს მოქალაქეთა განცხადებებთან მუშაობას, დოკუმენტების ფორმირებასა და რეგისტრაციას, რაც უზრუნველყოფს პროცესების სისტემურ მართვას.

სისტემა ასევე მოიცავს პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას, დავალებების შესრულების კონტროლს, დოკუმენტების გაგზავნასა და ინფორმაციის გაცემის წესებს. რეგულირდება ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვა, ასევე დოკუმენტების არქივში გადაცემა და შენახვის პირობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სოფელ ოდიშის საჯარო სკოლაში საქმისწარმოების პროცესების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (e-Flow), რომელიც წარმოადგენს შიდა და გარე კომუნიკაციის თანამედროვე ინსტრუმენტს. აღნიშნული სისტემა მნიშვნელოვნად ამარტივებს დოკუმენტების შექმნის, რეგისტრაციის, გადაადგილებისა და კონტროლის პროცესებს, რაც ხელს უწყობს სამუშაო პროცესების ოპერატიულობას და ზრდის გამჭვირვალობის ხარისხს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულად გამართული პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool), სადაც ასახულია ინფორმაცია სკოლის პერსონალის და მოსწავლეების შესახებ. სისტემაში ყველა სავალდებულო მონაცემი შევსებულია სრულად და რეგულარულად ხდება მათი განახლება. სკოლა უზრუნველყოფს მონაცემების დროულ და ზუსტ ასახვას ელექტრონულ სისტემაში, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის სანდოობასა და მართვის პროცესების ეფექტიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

დაწესებულებაში დანერგილია შემოსული კორესპონდენციისა და ანგარიშგებების მართვის მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურები, რომლებიც ეფუძნება დადგენილ ვადებსა და სტანდარტიზებულ წესებს. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს დოკუმენტების დროულ დამუშავებასა და შესაბამის რეაგირებას თანმიმდევრულად და ეფექტიანად.

სკოლა საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად აწვდის ანგარიშებსა და მოთხოვნილ ინფორმაციას შესაბამის რესურსცენტრსა და სხვა მარეგულირებელ უწყებებს. კომუნიკაციისა და თანამშრომლობის პროცესში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული საშუალებები, მათ შორის სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სწრაფ და ეფექტიან გაცვლას.

ყოველწლიურად, 10 დეკემბერს, სკოლა ამზადებს და შესაბამის უწყებებს აწვდის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის შესახებ, მათ შორის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს, ასევე აქვეყნებს მას „საკანონმდებლო მაცნეში“.

ყოველწლიურად, 20 ნოემბრამდე, სკოლა არეგისტრირებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმას სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალურ ელექტრონულ პლატფორმაზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

დირექტორი ყოველწლიურად 10 დეკემბრამდე ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. ასევე, სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის შესახებ შიდა მონიტორინგის დასკვნა სასწავლო წლის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წარედგინება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების წესი;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- შემოსული და გასული კორესპონდენციები;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციას სხვადასხვა ოფიციალური საკომუნიკაციო არხის გამოყენებით. მათ შორის აქტიურად გამოიყენება სკოლის ვებგვერდი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (skolebi.emis.ge), სადაც განთავსებულია საჭირო ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ.

საკომუნიკაციო მიზნებისთვის სკოლა ასევე იყენებს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდს, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის სწრაფ და ხელმისაწვდომ გავრცელებას ფართო საზოგადოებისთვის. დამატებით, კომუნიკაციის ოფიციალურ არხად გამოიყენება სკოლის ელექტრონული ფოსტა (Odishi1@mes.gov.ge), რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ოფიციალური მიმოწერა და ინფორმაციის გაცვლა.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში კომუნიკაციისა და ინფორმირების სისტემა ორგანიზებულია და ეფექტიანად ფუნქციონირებს სხვადასხვა ოფიციალური არხის გამოყენებით.

შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს თავისი საქმიანობისა და განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო, ზუსტ და გადამოწმებულ ინფორმაციის გავრცელებას. ინფორმაციის გავრცელებისას დაცულია უტყუარობისა და სიზუსტის პრინციპები, რაც ხელს უწყობს საზოგადოების სწორად ინფორმირებას.

სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ, რომელიც არის განახლებული და სანდო. აღნიშნული რესურსი უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის საჭირო დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობას.

ვებგვერდის ადმინისტრირებასა და განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებლობას იღებს სკოლის დირექცია, რაც უზრუნველყოფს გამოქვეყნებული მასალების ხარისხსა და სანდოობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებული უკუკავშირი სისტემატურად გამოიყენება სკოლის საქმიანობის შეფასებისა და ანალიზისათვის.

აღნიშნული პრაქტიკა საშუალებას აძლევს სკოლას გამოავლინოს როგორც ძლიერი მხარეები, ისე გასაუმჯობესებელი მიმართულებები და დაგეგმოს შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებები. შედეგად, ეს მიდგომა ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის ხარისხის ამაღლებას და მართვის პროცესების უფრო ეფექტიანად წარმართვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლების პორტალზე განთავსებულ ვებგვერდზე, ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია ასახავს დაწესებულების საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და მართვის პრინციპებს. წარმოდგენილია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც ასახავს მის სტრატეგიულ ორიენტირებსა და განვითარების საფუძვლებს. ასევე გამოქვეყნებულია სკოლის სტრუქტურა, სადაც დეტალურად არის აღწერილი მოქმედი ერთეულები და მათი ფუნქციური პასუხისმგებლობები.

ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია ფინანსური მდგრადობის შესახებ, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. წარმოდგენილია პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ასევე საკონტაქტო ინფორმაცია, რაც ხელს

უწყობს დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტიან კომუნიკაციას. ასევე განთავსებულია შინაგანაწესი, გასაჩივრების მექანიზმები და მოსწავლეთა ჩარიცხვისა და მობილობის წესი, რაც უზრუნველყოფს სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფეისბუკ-გვერდი;
- ელექტრონულ ფოსტა;
- სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნების ეფექტიან განხორციელებას. ძირითადი შემოსავლები მოიცავს სახელმწიფოსგან მიღებულ ვაუჩერულ დაფინანსებას, მასწავლებელთა დანამატებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა დაფინანსებასა და სკოლის მიერ იჯარით გაცემული ბუფეტიდან მიღებულ შემოსავალს.

ბიუჯეტის საფუძველზე ყოველწლიურად იგეგმება სახელმწიფო შესყიდვები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ბიუჯეტს ამზადებს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით და მასში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების საჭიროებები. იგი მტკიცდება ყოველწლიურად ნოემბერში და საჭიროებისამებრ განიცდის ცვლილებებს იანვარში.

ფინანსური მართვის მონიტორინგის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს დირექტორის წლიური ანგარიში, რომელსაც იგი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე. სკოლის ბიუჯეტი არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

როგორც დადგინდა, სკოლა ფინანსურ რესურსებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე შედგენილი სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელების მიზნით მიმართავს სამეურვეო საბჭოს, მოქმედი წესების დაცვით.

შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული პროცედურები ხორციელდება ბაზრის კვლევის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს შესყიდვების მიზანშეწონილობასა და ეფექტიანობას. საჭიროების შემთხვევაში გეგმა იცვლება სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით ხდება თანხების გადანაწილება მუხლებს შორის.

შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანას ახორციელებს სკოლის ბუღალტერი და შესაბამისი ინფორმაცია აისახება სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში (SPA.ge), რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და კონტროლს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ბიუჯეტი
- შესყიდვების გეგმა
- სამეურვეოს ოქმი
- დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს
- ბაზრის კვლევის ნიმუშები
- შესყიდვის გეგმაში ცვლილების შეტანა

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის N1 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა გარანტირებულია შიდა ნორმატიული აქტებითა და რეგულაციებით. სკოლის შინაგანაწესი კომპლექსურად არეგულირებს როგორც მოსწავლეთა წახალისების ფორმებს, ისე დისციპლინური წარმოების წესებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დისციპლინური ღონისძიებების გატარებისას სკოლა ხელმძღვანელობს ჰუმანურობის პრინციპით; დაუშვებელია ისეთი სახდელის გამოყენება, რომელიც ლახავს პირის პატივსა და ღირსებას ან ეწინააღმდეგება ბავშვის უფლებათა კოდექსით აღიარებულ პრინციპებს. სასწავლო წლის დაწყებისას, დამრიგებლების მიერ ხორციელდება მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების დეტალური ინფორმირება შინაგანაწესით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების შესახებ. აღნიშნული პროცესი დოკუმენტურად დასტურდება შინაგანაწესის გაცნობის აქტზე ხელმოწერითა და სადამრიგებლო პორტფოლიოში დაცული შესაბამისი ოქმებით. მოსწავლეთა ინტერესების წარმომადგენლობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. თვითმმართველობის თავმჯდომარე, როგორც სამეურვეო საბჭოს წევრი, უშუალოდ მონაწილეობს სკოლის მართვის პროცესში. მოსწავლეთა ინიციატივით ხორციელდება არაერთი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი პროექტი,

მოსწავლეთა უსაფრთხო გარემოთი უზრუნველყოფის მიზნით, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დანიშნულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში წესრიგს ზედამხედველობს შესაბამისი პირი მორიგე მასწავლებლები და დაცვის პერსონალი. გარდა ამისა, მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები განმტკიცებულია სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, სადაც დეტალურად არის გაწერილი გადაწყვეტილების გასაჩივრების სამართლებრივი მექანიზმები და პროცედურები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა უფლებების რეალიზებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფი უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ადაპტირებული კურიკულუმების შემუშავებას. ყოველწლიურად მტკიცდება ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. ფუნქციონირებს შესაბამისი რესურსებითა და თვალსაჩინოებებით აღჭურვილი რესურს-ოთახი. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა მშობლებთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან დაადასტურა, რომ სასკოლო საზოგადოება პოზიტიურად აფასებს სკოლაში არსებულ ეთიკურ გარემოსა და უფლებების დაცვის მექანიზმებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის უფლებების დაცვისთვის, „ზოგადი განათლების შესახებ კანონის“ შესაბამისად,სკოლა მოსწავლეს და მოსწავლეთა მშობლებს აცნობს საკუთარ უფლებებს წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე და სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში. სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები გამჭირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლას საინფორმაციო დაფაზე, რამდენიმე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული აქვს შინაგანაწესი. შინაგანაწესი გაზიარებულია სოციალური ქსელის საშუალებისთ და სკოლის ვებგვერდზეც skolebi.emis.ge.და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის ურთიერთობები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული ორმხრივი ხელშეკრულებით. აღნიშნული დოკუმენტი გამოირჩევა გამჭვირვალობითა და შინაარსობრივი მკაფიოობით. ხელშეკრულებაში დეტალურად არის გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები - განსაზღვრულია სკოლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პასუხისმგებლობის სფეროები სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის. პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტი მოიცავს ცალკეულ პუნქტს მოსწავლის პერსონალური ინფორმაციის დამუშავებისა და გამოყენების შესახებ, რაც სრულად შეესაბამება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. ვალდებულებების შესრულების მექანიზმები: ხელშეკრულება ადგენს მხარეთა შორის კომუნიკაციის ფორმებსა და იმ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვას საგანმანათლებლო მომსახურების მიღების პროცესში. დოკუმენტის სტრუქტურა და მასში მოცემული დებულებები უზრუნველყოფს მხარეთა ინფორმირებულობას და გამორიცხავს ინტერპრეტაციების შესაძლებლობას, რაც ადასტურებს ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;

- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სკოლის ვებგვერდი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ ოდიშის N 1 საჯარო სკოლაში სკოლაში ჩამოყალიბებულია მოსწავლის კონტინგენტის მოძრაობის (ჩარიცხვა, მობილობა, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა) და საფეხურის დაძლევის რეგულირების მკაფიო სისტემა. აღნიშნული პროცედურები ეფუძნება სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს“. დოკუმენტი სრულად შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ სტანდარტებს და მოიცავს შემდეგ საკვანძო ასპექტებს: ადმინისტრაციული პროცედურები - დეტალურად არის გაწერილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის პირობები და ვადები, განათლების აღიარება და ინკლუზიურობა. რეგულირებულია უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების პროცესი და სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ფორმალურ განათლებაში რეინტეგრაციის მექანიზმები. სტატუსის მართვა - განსაზღვრულია მოსწავლის სტატუსის შეჩერების, აღდგენისა და შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები. აკადემიური პროგრესი - გაწერილია კლასისა და საფეხურის დაძლევის, ასევე ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების წესები. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული წესების აქტიურ კომუნიკაციას. კლასის დამრიგებლები პერიოდულად აწვდიან მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაციას გაცდენების ლიმიტის, მოსალოდნელი სტატუსის შეჩერების რისკებისა თუ ექსტერნის გამოცდების პროცედურების შესახებ. ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება მრავალფეროვანი არხების გამოყენებით: პირისპირი კონსულტაციები, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალური ქსელები და Microsoft Teams-ის პლატფორმა. ეს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამჭვირვალობასა და მშობელთა ჩართულობას მოსწავლის აკადემიური მიღწევების მონიტორინგში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში მოქმედი ადმინისტრაციული მექანიზმები სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში დაცულია „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი“, რომელიც ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესაბ“. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად კლასის და საფეხურის დაძლევის დროს მართავს პედაგოგიური საბჭოს სხდომას, შედგება ოქმი, ოქმის საფუძველზე იწერება ბრძანება კლასისა და საფეხურის დაძლევის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მომსახურების სახეების, პროგრამების სპეციფიკისა და შიდა რეგულაციების შესახებ ინფორმაციის პროაქტიულ საჯაროობას. დაწესებულება იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან არხებს სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების სრულფასოვანი ინფორმირებულობისთვის. ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის მიზნით, სკოლაში დანერგილია შემდეგი მექანიზმები: ციფრული რესურსები - სკოლის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში განთავსებულია სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი და ინფორმაცია შეთავაზებული საგანმანათლებლო სერვისების პირობების შესახებ. ტრანზიციის მხარდაჭერა - სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან, რაც ხელს უწყობს პირველკლასელთა ადაპტაციასა და სასკოლო გარემოსთან მათ შეუფერხებელ ინტეგრაციას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სკოლა და საბაშვო ბაღი ერთ ლოკაციაზეა, რაც აადვილებს მათ კომუნიკაციას. სასწავლო წლის დასაწყისში ტარდება საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან. აღნიშნულ შეხვედრებზე მხარეები დეტალურად ეცნობიან სასკოლო გარემოს, დაგეგმილ პროექტებსა და მოსწავლის ქცევის კოდექსს (მოსალოდნელ ქცევას). სასწავლო პროცესის ორგანიზებისას სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს არჩევანის თავისუფლებას. დაწყებით საფეხურზე (IV კლასიდან) მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, აირჩიონ მეორე უცხოური ენა, ხოლო საშუალო საფეხურზე - კურიკულუმით გათვალისწინებული არჩევითი საგნები. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს აღნიშნული საგნების შინაარსისა და სპეციფიკის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას, რაც მშობლებსა და მოსწავლეებს გააზრებული გადაწყვეტილების მიღების საშუალებას აძლევს. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ფოკუს-ჯგუფებმა (ინტერვიუები მშობლებთან და მოსწავლეებთან) დაადასტურა, რომ სკოლა თანმიმდევრულად ახორციელებს დეკლარირებულ პოლიტიკას. რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს სკოლის ღიაობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის მაღალ ხარისხს.

სკოლაში არსებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემები სრულად უზრუნველყოფს მონაცემთა საჯაროობასა და გამჭვირვალობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლას დირექტორის ბრძანებით ჰყავს დამტკიცებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისია, გამჭირვალეა, განახლებადი და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის წესი;
- სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის წესი
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;

- შინაგანაწესი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის N1 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად მოქმედებს „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი". აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს, რომელიც სისტემურად განსაზღვრავს ადაპტაციის პროცესის მართვის ძირითად ასპექტებს, კერძოდ: ადაპტაციის პრინციპებსა და ფაქტორებს, სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლის ჩართულობის ფსიქოლოგიურ და სოციალურ წინაპირობებს, დიაგნოსტიკასა და პრევენციას. სკოლაში პროცესის ეფექტურობა ეფუძნება ინტერდისციპლინურ მიდგომას, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრთა - სკოლის ადმინისტრაციის, დამრიგებლების, მშობლების, თანაკლასელებისა და (საჭიროების შემთხვევაში) სპეციალური მასწავლებლების - კოორდინირებულ თანამშრომლობას.

მშობლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლა აქტიურად ზრუნავს ახალ მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაზე, უზრუნველყოფს მათ მხარდაჭერას და ხელს უწყობს უსაფრთხო, თანამშრომლობაზე დაფუძნებული და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სწავლის დაწყების ეტაპიდანვე სკოლა აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას. კერძოდ, კლასის დამრიგებლები ახდენენ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და ანალიზს. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ახორციელებს წინასწარ შემუშავებულ, ადაპტაციაზე ორიენტირებულ აქტივობებს.

ამასთანავე, დაწესებულებაში მოქმედებს **„საჯარო სკოლაში მოსწავლის ტრანზიციასთან დაკავშირებული პროცესების მართვის წესი"**, რაც უზრუნველყოფს პირველკლასელთა ტრანზიციის პროცესის სისტემურ მხარდაჭერას. რეგისტრაციის ეტაპის დასრულების შემდეგ, სკოლა ორგანიზებას უწევს შეხვედრებს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარების მიზნით. აღნიშნული პროცესი მოიცავს სამომავლო პედაგოგების გაცნობასა და სასკოლო სივრცის დათვალიერებას.

მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესში სკოლა სრულად ითვალისწინებს მათ ასაკობრივ თავისებურებებსა და განვითარების დონეს, რის საფუძველზეც ხდება შესაბამისი საკლასო გარემოსა და სივრცის მოწყობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლაში მოსწავლეთა პროგრესის უზრუნველსაყოფად დანერგილია აკადემიური მხარდაჭერისა და ინფორმაციის გაცვლის სისტემური მიდგომა: მონიტორინგი და კომუნიკაცია - სასწავლო პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, აქტიურად გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი. მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ინფორმირება მოსწავლის მიღწევების შესახებ ხორციელდება როგორც ციფრული პლატფორმით, ისე ინდივიდუალური გასაუბრებებისა და სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით. სემესტრის დასაწყისში სკოლა უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას საგნობრივი, ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების წესების შესახებ. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია სემესტრული გამოცდის გზით ნიშნის ამაღლების შესაძლებლობაზე, რაც დადასტურდა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუებით. სკოლაში დანერგილია აკადემიური მხარდაჭერის სტრატეგიები: მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს ინდივიდუალურ მუშაობასა და დიაგნოსტიკურ შეფასებებს, რაც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკლუბო მუშაობაც.

პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას, რაც სწავლის პროგრესის დაგეგმვის ძირითადი ორიენტირია. დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისთვის შემუშავებულია და მოქმედებს რემედიაციის გეგმა. ოდიშიას N 1 საჯარო სკოლაში არსებული მხარდაჭერის მექანიზმები ეფექტურია და სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერასა და მათი კანონიერი უფლებების რეალიზაციას შემდეგი მექანიზმებით. სკოლის საქმიწარმოების წესი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან. ნებისმიერი ადმინისტრაციული სერვისი თუ დოკუმენტაციის მომზადება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილ გონივრულ ვადებში.სკოლის მენეჯმენტი და დამრიგებლები სისტემატურად აწვდიან მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს კრიტიკულად მნიშვნელოვან ინფორმაციას კერძოდ საგნების მიხედვით გაცდენების ზღვრული რაოდენობისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ,სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნატის ფორმით გამოცდების ჩატარების ვადებისა და პროცედურების თაობაზე;მოსწავლეთა მობილობის ვადებსა და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ შეზღუდვებზე.

სერვისების დროული და გამჭვირვალე მიწოდებით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების კონსტიტუციური უფლების განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

ოდიშის N1 საჯარო სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესითა და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის პედაგოგთა ორგანიზებითა და ფასილიტაციით, მოსწავლეთა შემოქმედებითი და სამოქალაქო თვითგამოხატვის ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა შემდეგი არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები, მოსწავლეთა პატრიოტული

ცნობიერების ამაღლებისა და შემოქმედებითი ინიციატივის მხარდაჭერა ლიტერატურული პროექტის ფარგლებში: „გამარჯობა აფხაზეთო ჩემო“; ,კლასგარეშე კითხვისა და ეროვნული ფასეულობების აქტუალიზაცია საგნობრივი კათედრის მხარდაჭერით: „აკაკი - საქართველოს ბულბული“.

უცხო ენების კათედრის მიერ მოსწავლეთა სოციოკულტურული, ინტერკულტურული და სამოქალაქო კომპეტენციების განვითარების მიზნით, მხარდაჭერილ იქნა შემდეგი ინიციატივები და არაფორმალური პროექტები: სამყაროს შემეცნებითი და ენობრივი უნარების სინთეზი მოსწავლეთა კვლევით აქტივობაში: „ინგლისის ღირსშესანიშნაობები“;კულტურათა შორის დიალოგის ხელშეწყობა და პრეზენტაციული უნარების სტიმულირება: „ახალი წლის ტრადიციები სხვადასხვა ქვეყნებში“;ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული მოსწავლეთა სამოქალაქო ინიციატივა და თანატოლთა განათლება: „ბულინგი“;ტრანსფერული უნარების განვითარება კათედრათაშორისი და არაფორმალური მიდგომებით: ინტეგრირებული პროექტი „ინტელექტუალური ვიქტორინა“.

ესთეტიკის კათედრა ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი ნიჭის, ეკოლოგიური ცნობიერებისა და კულტურული თვითმყოფადობის გამოვლენას მოსწავლეებმა ამ მიზნით მოახდინეს კულტურული მემკვიდრეობის კვლევა, რეგიონული პოტენციალის გააზრება და თემის ჩართულობა: „ჩემი ქალაქის მუზეუმი და მისი პოპულარიზაცია - დადიანების სასახლე“; ხელოვნების ისტორიისა და პრაქტიკული უნარების სინთეზი არაფორმალურ გარემოში: „თიხის ისტორია ჩვენს ხელებში“; გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის, „მწვანე კონცეფციისა“ და კრეატიული აზროვნების სტიმულირება: „გაზაფხული ნარჩენებიდან - ფერები, მოდა, შემოქმედება“.

სპორტის კათედრა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, გუნდურობისა და ფიზიკური განვითარების მიზნით, სკოლაში განხორციელდა სპორტული ტურნირები. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების, სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ანალიტიკური აზროვნების განვითარების მიზნით, კათედრის პერსონალმა უზრუნველყო მოსწავლეთა მრავალფეროვანი ინიციატივების რეალიზება: „ადამიანის უფლებები სხვადასხვა ქვეყნებში“ - ინტეგრირებული პროექტი, რომელიც ეხმიანება მდგრადი განვითარების მიზნებსა (SDG) და ეკო-ცნობიერებას; კათედრათაშორისი თანამშრომლობით განხორციელებული პროექტი: „ენგურჰესი - ენერგია, მეცნიერება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა“; კათედრებთან ინტ ეგრირებული სოციალური პროექტი: „სოციალური დავალებები, იმუნიზაცია და მისი მნიშვნელობა“; სკოლებს შორის თანამშრომლობითი პროექტი, რომელიც მუდმივად მიმდინარეობს: „პროფესიული ორიენტაცია და კარიერული დაგეგმვა“.

სკოლის ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენებით, მუდმივად მიმდინარეობს მოსწავლეთა კვლევითი და შემოქმედებითი ინიციატივების მხარდაჭერა: ესთეტიკური და მედიაწიგნიერების კომპეტენციების განვითარება საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში: „ჭაბუკი ჩემი სოფლიდან“ - ალექსანდრე საჯაიას იუბილეს აღნიშვნა და ფოტოალბომის შექმნა; ადგილობრივი ისტორიის შესწავლა, წყაროებზე მუშაობა და საბოლოო პროდუქტის შექმნა მოსწავლეთა ავტორობით: კვლევა - „ჩემი სოფლის ისტორია“ (შექმნილი პროდუქტი — წიგნი სოფლის ისტორიაზე).

დაწყებითი საფეხურის კათედრა მახარს უჭერს უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებში ფუნქციური უნარების, კრეატიულობისა და წიგნიერების წახალისება კათედრის პედაგოგთა მხარდაჭერით:ფუნდამენტური კომპეტენციების გაძლიერება დამატებითი სასწავლო ინიციატივების გზით: სასწავლო პროექტი - „წიგნიერება“.საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა მოსწავლეებში მეცნიერული წიგნიერების, ექსპერიმენტული უნარებისა და გლობალური გამოწვევებისადმი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფორმირებისთვის კათედრამ განახორციელა კვლევითი პროექტი: „მოგზაურობა ქიმიური ექსპერიმენტების სამყაროში“.მათემატიკური, ლოგიკური და ციფრული კომპეტენციების ტრანსფერი რეალურ ცხოვრებაში, მოსწავლეთა პროექტებისა და კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერით განახორციელა პროექტი „მათემატიკა - ლოგიკური იდეების პოეზია“;

პროექტებისა და კვლევების ანალიზი ცხადყოფს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება სისტემურად და მიზანმიმართულად უზრუნველყოფს არაფორმალური განათლების ხელშეწყობას. სკოლის სხვადასხვა საგნობრივი კათედრების (ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო, ესთეტიკის, სპორტისა და მათემატიკის) შექმნილია პოზიტიური და კოლაბორაციული გარემო, სადაც წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები, მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, ეკო-ცნობიერება, შემოქმედებითი თვითგამოხატვა და კვლევითი უნარები.

ყოველივე აღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლის საგანმანათლებლო პრაქტიკა შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან, ეფექტურად პასუხობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და მყარ საფუძველს ქმნის სასკოლო საზოგადოების დემოკრატიული კულტურის განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის სისტემა, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო სერვისების მუდმივ გაუმჯობესებაზე სკოლა სისტემურად განიხილავს მოსწავლეების, მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას მომსახურების ხარისხის შესახებ. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ადმინისტრაცია ახორციელებს მიზნობრივ ინტერვენციებსა და აქტივობებს გამოვლენილი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. პროცესების უფრო მეტი ორგანიზებულობისა და ობიექტურობის მიზნით, სკოლა ახორციელებს კვლევის ვალიდური ინსტრუმენტების (კითხვარების) დანერგვას. აღნიშნული მექანიზმი საშუალებას მისცემს სკოლას, სიღრმისეულად შეისწავლოს სასკოლო საზოგადოების — მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების — პოზიციები. სკოლის საქმიანობის პრიორიტეტია გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, რაც ხელს უწყობს სასწავლო გარემოსა და სერვისების ოპტიმიზაციას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება საქმიანობის წარმართვის შესახებ;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი; რემედეაცია, ტრანზიციის წესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- წრეები, კლუბები, პროექტები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სკოლაში აქტიურად ხორციელდება მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები, საგანმანათლებლო-საკონსულტაციო მუშაობის ფარგლებში კლასის დამრიგებლები, სადამრიგებლო საათების ფარგლებში, ატარებენ მიზნობრივ შეხვედრებს პროფესიული თვითგამორკვევის საკითხებზე. აღნიშნული აქტივობები მოსწავლეებს აწვდის პრაქტიკულ ინფორმაციას შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების შესახებ და ზრდის მათ მოტივაციას კარიერული დაგეგმვის პროცესში. პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობისა და პოპულარიზაციის მიზნით, სკოლას თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან, მემორანდუმი აქვს გაფორმებული ,,ეკოვიჟენთან „ სკოლა ხელს უწყობს საინფორმაციო ვიზიტების და და უმაღლესი/პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებთან შეხვედრების ორგანიზებას, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა გაცნობიერებულ პროფესიულ არჩევანს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათი კანონიერი წარმომადგენლების მუდმივ ინფორმირებულობას ზოგადი განათლების მომდევნო საფეხურებთან და კარიერულ პერსპექტივებთან დაკავშირებით, კლასის დამრიგებლები სისტემატურად ახდენენ მოსწავლეთა კონსულტირებას კარიერული დაგეგმვის საკითხებზე. მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლებისთვის აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება როგორც ჯგუფური (მშობელთა კრებები), ისე ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში. საინფორმაციო მხარდაჭერის ფარგლებში, სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ საკომუნიკაციო არხებს. მოსწავლეებს პერიოდულად აქვთ წვდომა (ბმულები) სხვადასხვა პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების მიერ ორგანიზებულ „ღია კარის დღეებსა“ და ონლაინ საინფორმაციო შეხვედრებზე. სკოლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ეფუძნება ოფიციალურ და გადამოწმებულ წყაროებს, რაც მოსწავლეებს ეხმარება განათლების შემდგომი საფეხურის სწორად შერჩევაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების ხარისხის მუდმივ მონიტორინგსა და მის გამოყენებას ინსტიტუციური განვითარების დაგეგმვის პროცესში. აკადემიური შედეგების მონიტორინგის საფუძველზე სკოლა სისტემატურად აანალიზებს კურსდამთავრებულთა შედეგებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ფორმატში. აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორს სწავლების ხარისხისა და საგნობრივი პროგრამების ეფექტურობის შესაფასებლად. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სკოლა ახორციელებს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევას. ეს მექანიზმი იძლევა საშუალებას, მოხდეს იმის იდენტიფიცირება, თუ რამდენად ეფექტური იყო სკოლის მიერ შეთავაზებული კარიერული დაგეგმვის სერვისები მოსწავლის პროფესიულ ორიენტაციასა და საბოლოო არჩევანში. კვლევის შედეგები საფუძვლად ედება სამოქმედო გეგმების კორექტირებას, რაც უზრუნველყოფს სასკოლო სერვისების შესაბამისობას მოსწავლეთა რეალურ საჭიროებებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მშობელთა ჩართულობა;
- ბრძანება მშობლებთან ურთიერთობის და დებულება;
- ბრძანებადამრიგებლის მუშაობის დებულების დამტკიცება და დამრიგებლის მუშაობა;
- სადამრიგებლო პროგრამა
- მემორანდუმი ,,ეკოვიჟენთან“.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა აკადემიურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას მათი საუკეთესო ინტერესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. სკოლაში მოქმედებს „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების

რეგულაცია“. აღნიშნული დოკუმენტი სისტემურად აწესრიგებს სსსმ სტატუსის მინიჭების, მართვისა და მოხსნის პროცედურებს, ასევე განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავებისა და მონიტორინგის მექანიზმებს. სკოლაში მნისვნელოვანი ყურადღება ექცევა ინდივიდუალური სასწავლო პროცესის ეფექტურ განხორციელებას, სასწავლო პროცესი ეფუძნება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნებსა და მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ შეფასებებს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შემუშავებულია ისგ-ები, რომლებიც მოიცავს: მიზნებზე ორიენტირებულ ადაპტირებულ აქტივობებს; შემოქმედებითი ტიპის დიფერენცირებულ დავალებებს; პროგრესის შეფასების ვალიდურ ინდიკატორებს. სკოლაში ფუნქციონირებს სათანადოდ აღჭურვილი რესურს-ოთახი, სადაც სპეციალური მასწავლებელი მუშაობს მოსწავლეებთან.

სკოლის სტრატეგია ორიენტირებულია სსსმ მოსწავლეთა სრულფასოვან ინტეგრაციაზე სასკოლო საზოგადოებაში, რაც ხელს უწყობს ბარიერების აღმოფხვრას და ინკლუზიური გარემოს განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სსსმ მოსწავლეების მხარდასაჭერად გარეთიანებულია სასკოლო საზოგადოება. სკოლაში დროულად ხდება სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირება. სკოლას შემუშავებული აქვს „სსიპ სოფელ ოდიშის N 1 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განცხორციელების სამოქმედო გეგმა“, სადაც სასწავლო წლის განმავლობაში დროში გაწერილია აქტივობების შინაარსი, და დაფიქსირებულია პასუხისმგებელი პირები. სასწავლო წლის განმავლობაში აღნიშნული გეგმის მიხედვით ხდება დაგეგმილი აქტივობების განხორციელების მონიტორინგი. ამ ეტაპზე სკოლაში სსსმ მოსწავლეა, რომელთა ინკლუზიურ განვითარებას ემსახურება სპეციალური მასწავლებელი. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან და აწვდით მათ მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესაბამის ინფორმაციას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება სსსმ სერვისებოს მიწოდების რეგულაციის შესახებ:
- ბრძანება სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები;
- ინკლუზიური განვითარების გეგმა;
- ინტერვენციის გეგმა;
- ბრძანება ისგ შექმნა;
- ოქმი ინდ გეგმა;
- ბრძანება 2-54.ინკლუზიური განათლების მონიტორინგის შესახებ.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებასა და კვების სერვისს მოქმედი რეგულაციების შესაბამისად კერძოდ ტრანსპორტირება: სკოლა სარგებლობს ავტოტრანსპორტით, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა ორგანიზებულ გადაყვანას. ტრანსპორტირების სერვისი ხორციელდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სკოლა მოსწავლეებს აწვდის კვების მომსახურებას ,სკოლაში ფუნქციონირებს კვების ობიექტი (ბუფეტი), რომლის საქმიანობა ეფუძნება შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ გაცემულ ნებართვებსა და სანიტარიულ-ჰიგიენურ სტანდარტებს. გაწეული მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის .

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის საქმიანობის ანალიზითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ ყველა დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობისა და დადგენილი წესების, ნებაყოფლობითობისა და გამჭვირვალობის პრინციპების სრული დაცვით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი არასავალდებულო თუ არაფორმალური აქტივობა ხორციელდებოდეს უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმების სრული დაცვით, იმ სერვისების მიწოდებისას, რომლებიც არ საჭიროებენ სპეციფიკურ სამართლებრივ ნებართვას (მაგალითად, საკლუბო მუშაობა, სპორტული სექციები ან სასკოლო პროექტები), სკოლა ხელმძღვანელობს უსაფრთხოების ზოგადი პროტოკოლებით. ეს მოიცავს ფიზიკური გარემოს გამართულობას, სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებსა და მოსწავლეთა ზედამხედველობას. ყოველი დამატებითი აქტივობა შინაარსობრივად მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და მათ განვითარებაზე. მომსახურების დაგეგმვისას პრიორიტეტი ენიჭება მოსწავლის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ტრანსპორტით მომსახურეობა;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1	☒ შეესაბამება

კურიკულუმის შემუშავება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ოდიშის N 1 საჯარო სკოლაში დანერგილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შესაბამისობას სასკოლო საზოგადოების ინტერესებთან, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებთან. სკოლაში მუშაობს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა. მეთოდოლოგია ეფუძნება კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, სადაც მოსწავლე განიხილება როგორც სასწავლო პროცესის აქტიური სუბიექტი და საკუთარი ცოდნის კონსტრუირების წარმმართველი. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც მოიცავს ფიზიკური, კოგნიტური და სოციო-ემოციური უნარების ინტეგრირებულ ზრდას. კურიკულუმის განვითარების პროცესი ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებსა და ორიენტირებს (სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები), რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხსა და შედეგიანობას. დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული: კურიკულუმის შექმნასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და პირები; ჩართული მხარეები და მათ შორის თანამშრომლობის მექანიზმები; დანერგვის, მონიტორინგის, შეფასებისა და რევიზიის ეტაპობრივი ციკლი.

კათედრებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კურიკულუმების ფორმირების პროცესში. ისინი ერთობლივად განიხილავენ საგნობრივ საკითხებსა და აქტივობებს, ახდენენ პრაქტიკული გამოცდილების რეფლექსიას და წლის განმავლობაში დაგროვილი უკუკავშირის საფუძველზე ახორციელებენ კურიკულუმების პერიოდულ განახლებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლაში კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი ეფუძნება კოლეგიალობის და ინკლუზიურობის პრინციპებს. კურიკულუმის ფორმირების პროცესში აქტიურად მონაწილეობს კათედრის თითოეული წევრი. სასწავლო გეგმის მომზადებისას კათედრა ეყრდნობა გასული სასწავლო წლის გამოცდილების რეფლექსიასა და ანალიზს, რაც უზრუნველყოფს სწავლების უწყვეტობასა და ხარისხის განვითარებას.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისას და კონკრეტული აქტივობების შემუშავებისას გათვალისწინებულია თითოეული კლასის სპეციფიკა, მოსწავლეთა ინტერესები, აკადემიური მიღწევები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. ეს მიდგომა ხელს უწყობს სწავლის პროცესის მაქსიმალურ ადაპტირებას მოსწავლის საჭიროებებზე. კათედრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა მყარი თანამშრომლობითი კულტურა როგორც კათედრის შიგნით, ისე სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფებს შორის. აღნიშნული კოორდინაცია უზრუნველყოფს კურიკულუმის კომპლექსურობასა და საგანთაშორისი კავშირების ეფექტურ რეალიზებას. კურიკულუმის განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მშობელთა და კანონიერ წარმომადგენელთა უკუკავშირს. კლასის დამრიგებლები, მშობელთა კრებებისა და ინდივიდუალური გასაუბრებების მეშვეობით, ახდენენ მათი ინტერესების იდენტიფიცირებას, რაც შემდგომ აისახება სასკოლო სასწავლო გეგმის პრიორიტეტებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში კურიკულუმის ფორმირება წარმოადგენს დინამიკურ პროცესს, რომელშიც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა. კურიკულუმის განახლების პროცესში სისტემურად ხდება წინა სასწავლო წლის შედეგების ანალიზი და გამოვლენილი ხარვეზების რეფლექსია. აღნიშნული მიდგომა საშუალებას აძლევს სკოლას, მოახდინოს სასწავლო გეგმის ოპტიმიზაცია და გაითვალისწინოს გასული პერიოდის პედაგოგიური გამოცდილება. საგნობრივი კათედრები წარმოადგენენ ძირითად სამუშაო ერთეულებს, სადაც პედაგოგები ერთობლივად მსჯელობენ კურიკულუმის შინაარსობრივ ასპექტებზე. კურიკულუმის შექმნისას გათვალისწინებულია სასწავლო აქტივობების ადაპტირება კლასების სპეციფიკური შესაძლებლობებისა და აკადემიური მიღწევების შესაბამისად; გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა.

შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებები). საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გადაცემაზე, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე. რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბებასა და 21-ე საუკუნის კომპეტენციების განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლა უზრუნველყოფს სამივე საფეხურის კურიკულუმებისა და მათი მხარდამჭერი საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სასწავლო წლის დაწყებისთანავე, სკოლა ახორციელებს საგნობრივი პროგრამებისა და დაგეგმილი სასწავლო აქტივობების პრეზენტაციას. პედაგოგები მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს დეტალურად აცნობენ:

- საგნობრივი კურიკულუმების შინაარსს;
- შემოქმედებით დავალებებსა და მათი შესრულების ეტაპებს;
- შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკებს;
- სასწავლო პროცესის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებს.

სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და უკუკავშირის უზრუნველსაყოფად სკოლა იყენებს სხვადასხვა პლატფორმას. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა შემდეგი არხების ეფექტური გამოყენება ციფრული კომუნიკაცია: სკოლის ოფიციალური ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა და მშობელთა დახურული საკომუნიკაციო ჯგუფები; მშობელთა კრებები და ინდივიდუალური კონსულტაციები.

დაინტერესებულ მხარეებთან (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები) გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო მიზნებისა და შეფასების სისტემის შესახებ, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურ მართვას. კურიკულუმის გაზიარების მექანიზმები არის მრავალფეროვანი და სისტემური, რაც აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს I-XII კლასების საგნობრივი კურიკულუმები ბუნებისმეტყველებაში, ბიოლოგიაში, ქიმიასა და ფიზიკაში. საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. კურიკულუმები შედგენილია საგნობრივ სტანდარტის მიხედვით და ჩანს სავალდებულო თემები, საკითხები, სამიზნე ცნებები, კონტექს-მაგალითები, შემოქმედებითი ტიპის დავალებები და რესურსები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე, მათ საჭიროებებსა და ასაკობრივ თავისებურებებზე. **რჩევა:** **დაწყებითი საფეხური:** სასურველია, I–IV კლასების კურიკულუმში სავალდებულო თემების ფარგლებში დამუშავდეს ხუთივე სამიზნე ცნება. ასევე, მიზანშეწონილია საკითხების გაერთიანება და მათი შესაბამის სვეტში წარმოდგენა, ხოლო „კონტექსტი/მაგალითის“ გრაფაში მხოლოდ 1–2 კონკრეტული მაგალითის დატოვება, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის მეტად სტრუქტურირებულ და მკაფიო წარმოდგენას. **საბაზო და საშუალო საფეხური:** • ბიოლოგიაში, VII კლასის კურიკულუმს სასურველია დაემატოს თემა -„მიკროორგანიზმები“. • ბიოლოგიაში, XII კლასის თემებში - „ეკოლოგია“ და „ვირუსიდან ადამიანამდე“ - სასურველია სრულად დამუშავდეს ოთხივე სამიზნე ცნება. • ფიზიკის VII კლასის კურიკულუმში სასურველია თემები და სამიზნე ცნებები წარმოდგენილი იყოს საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. • ქიმიის XII კლასის კურიკულუმში სასურველია, დავალების იდეაში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს როგორც შესასწავლი საკითხი, ისე ის პროდუქტი, რომელიც მოსწავლეებმა უნდა შექმნან, რაც ხელს შეუწყობს დავალების მიზნისა და მოსალოდნელი შედეგის უკეთ აღქმას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების პროგრამების მიხედვით. სათანადოდაა გაწერილი ცნებები, თემა, საკითხი და ა.შ. გამონაკლისი კურიკულუმების დახვეწისთვის სკოლას მიეცა რჩევა გასაუბრებაზე. პედაგოგებს ჰქონდათ სათანადო უკუკავშირი და იზრუნეს ხარვეზების გამოსწორებაზე. დანარჩენი კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	უცხოური ენების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ინგლისური, რუსული) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებს კურიკულუმებს. კურიკულუმებში შეტანილი თემები (კათედრა ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებით) მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მტკიცებულებებით წარმოდგენილი **დაწყებითი, საბაზო და საშუალო** საფეხურის საგნობრივ (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. განსაკუთრებით მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს რომ უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები სრულად ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და შეესაბამება მისი მოთხოვნებით განსაზღვრულ შედეგებსა და შინაარსს. კურიკულუმების ანალიზისა და ინტერვიუს საფუძველზე გამოჩნდა, რომ კათედრას გააზრებული აქვს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელების ხედვა. **რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურზე მკაფიოდ გაიმიჯნოს „საკითხი“ და „შემოქმედებითი დავალების იდეა“, რადგან რიგ შემთხვევებში შემოქმედებითი დავალების გრაფაში წარმოდგენილია თავად საკითხი ან ორივე გრაფაში იდენტური ინფორმაციაა მითითებული. სასურველია, საკითხი ჩამოყალიბდეს სახელდებითი ფორმით და ასახავდეს იმას, თუ რა უნდა ისწავლებოდეს (მაგ.: „დიორამის შექმნა“), ხოლო „შემოქმედებითი დავალების იდეის“ ნაწილში წარმოდგენილი იყოს კონკრეტული დავალების აღწერა/პირობა შეფასების კრიტერიუმებამდე. სასურველია, რესურსების ჩამონათვალში მითითებულ ბმულებს თან ახლდეს შესაბამისი მასალის სათაური, რაც გაამარტივებს რესურსების იდენტიფიცირებასა და გამოყენებას. სასურველია, შეფასების რუბრიკები მეტად დაეფუძნოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორებსა და კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რუბრიკებში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს, თითოეულ ცნებასთან მიმართებით კონკრეტულად რა კომპონენტი ფასდება, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სიზუსტეს, გამჭვირვალობასა და დავალების მიზნებთან

	შესაბამისობას. კათედრის წარმომადგენლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ აღნიშნულ რჩევებს სამომავლოდ კურიკულუმების შედგენისას გაითვალისწინებენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმების ჩარჩოში შევსებულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხთა კლასტერი, შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებები, სასწავლო რესურსები, განსაზღვრული საათების რაოდენობა; მასში წარმოდგენილი საკითხებით/საკითხთა კლასტერით დაფარულია თემები. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა და მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად. **რჩევა:** სასურველია, მათემატიკის კურიკულუმში **სამივე საფეხურზე** თემებთან ერთად წარმოდგენილი კონკრეტული საკითხები გადატანილ იქნას „საკითხთა კლასტერის“ შესაბამის სვეტში, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის სტრუქტურულ გამართულობას, ინფორმაციის უკეთ ორგანიზებასა და თემებისა და საკითხების მკაფიო გამიჯვნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურის კლასისებისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება მესამე თაობის ე.ს.გ. სტანდატებს). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მიმართულებით შემუშავებული კურიკულუმი აშკარად ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო მიდგომას და წარმოადგენს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და სისტემური განვითარების ეფექტიან ინსტრუმენტს. კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ და თანაბარ სასწავლო გარემოს. გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები, აქტიური და პრაქტიკაზე ორიენტირებული მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს როგორც თეორიული ცოდნის გააზრებას, ისე მისი პრაქტიკაში გამოყენებას. სასწავლო აქტივობები და დავალებები მიზანმიმართულად არის დაგეგმილი, რათა ხელი შეუწყოს კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის, თანამშრომლობისა და ციფრული კომპეტენციების განვითარებას. კურიკულუმი ასევე ითვალისწინებს შეფასების მრავალფეროვან ფორმებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის მუდმივ მონიტორინგსა და დროულ უკუკავშირს. მთლიანობაში, კურიკულუმი ქმნის განვითარებაზე ორიენტირებულ, მოქნილ და შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი და შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და განვითარებას. შემოქმედებითი ტიპის დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ესგ-ით განსაზრვრულ გრძელვადიან მიზნებს საფეხურის შედეგებსა და სამიზნე ცნებებს და შუალედურ მიზნად გაწერიალია კომპლექსური ტიპის დავალებები/პროექტები. კურიკულუმებში ყველა კომპლექსური ტიპის დავალებისთვის შერჩეულია კონტექსტ -მაგალითი და მრავალფეროვანი ელექტრონული და მატერიალური რესურსები. შუალედური მიზნის მქონე დავალებები მოსწავლეს აძლევს ცოდნის სამივე კატეგორიის ცოდნის დადასტურებისა და თემაში/საკითხებში მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში შემოქმედებითი პროდუქტის იდეები წარმოდგენილია იმდაგვარად, რომ აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას. მაგ: კურიკულუმებში განსაზღვრული თემები და საკითხები ხელს უწყობს, რომ მოსწავლემ გაიაზროს საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიული პროცესები; დაინახოს წარსულსა და თანამედროვეობას შორის კავშირი; შეისწავლოს სხვადასხვა ეპოქის პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური მოვლენები; განუვითარდეს ისტორიული აზროვნება, წყაროების ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი; პატივი სცეს კულტურულ მრავალფეროვნებასა და მემკვიდრეობას. მოქალაქეობის კურიკულუმებში მოცემული თემები, საკითხები და დამატებითი ლიტერატურა შესაძლებლობას იძლევა მოსწავლემ გაიაზროს დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მნიშვნელობა. ასევე განივითაროს თანამშრომლობის, კომუნიკაციისა და გადაწყვეტილების მიღების უნარები. იყოს ტოლერანტული, პასუხისმგებელი და აქტიური მოქალაქე. გეოგრაფიის კურიკულუმებში მოცემული სასწავლო თემები, საკითხები, კონტექსტ მაგალითები, შემოქმედებითი პროდუქტები და დამატებითი რესურსები შესაძლებლობას იძლევა მოსწავლემ შეისწავლოს ბუნებრივი და საზოგადოებრივი გარემო, გაანალიზოს ადამიანის და გარემოს ურთიერთკავშირი, შეძლოს რუკებისა და სხვა გეოგრაფიული საშუალებების გამოყენება, განივითაროს სივრცითი აზროვნება, იმსჯელოს დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პროცესებზე და ა.შ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	უცხოური ენების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ინგლისური, რუსული) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში თემები, შემოქმედებითი დავალებების იდეები, რესურსები, სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური საგნების, სამივე საფეხურის კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში, შემოქმედებითი დავალება განიხილიება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს შუალედური დავალების როლს. რომელთანაც შესაბამისობაშია კურიკულუმში წარმოდგენილი შუალედური დავალებები. ორიენტირებულია შემოქმედებით პროცესებზე. მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუ, მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) **რჩევა:** სასურველია, ხელოვნების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში თემატური ბლოკები უფრო მკაფიოდ და სტრუქტურირებულად იყოს გამოკვეთილი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებასა და თემატური ერთეულების თანმიმდევრულ დაგეგმვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. სასწავლო პროცესი იგეგმება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად თემატური ბლოკების ფარგლებში, სადაც მუშავდება საფეხურის შედეგი, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები. სწავლება ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მოთხოვნებს. კურიკულუმში წარმოდგენილი თემატური ერთეულები და შემოქმედებითი დავალებები შერჩეულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს ცოდნის ტრანსფერი და მოსწავლის აქტიური ჩართულობა, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. კურიკულუმებში იკვეთება კორელაცია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო თემებთან და სამიზნე ცნებებთან. დაგეგმილი შემოქმედებითი ტიპის დავალების შინაარსი, მიზნობრივი აქტივობებისა და რესურსის შეთავაზება, რაც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა უნარებს. წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები იძლევა მოსწავლის დაფიქრებისა და წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას. მე-12 კლასის კურიკულუმში თითქმის ყველა საკითხი წარმოდგენილი იყო კონტექსტ-მაგალითებით, მე-8 და მე-7 კლასების კურიკულუმში თითქმის ყველა თემისთვის არის წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოცემულ კურიკულუმებზე მუშაობისას მიღებული გამოცდილების საფუძველზე, გეგმავენ, შეარჩიონ და განახორციელონ შემოქმედებითი დავალებები ესგ-ს შესაბამისად, რაც გამოიწვევს კურიკულუმებში მცირე ცვლილებას.

	რჩევა: სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ისეთი შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელთა განხორციელებაც რეალისტურად და პრაქტიკულად შესაძლებელია არსებული რესურსების, დროისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და დასახული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი), სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული თემების სტანდარტის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში პედაგოგები სამივე საფეხურზე შეძლებენ სრულყოფილად მიზანზე გასვლას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მიმართულებით კურიკულუმი მკაფიოდ არის ორიენტირებული საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა-ით განსაზღვრულ მიზნებზე და სრულად ასახავს მათ შინაარსობრივ და კომპეტენციურ ჩარჩოს. სასწავლო მიზნები, შედეგები და აქტივობები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების თანმიმდევრულ განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ციფრული კომპეტენციების, კრიტიკული აზროვნებისა და პრაქტიკული უნარების ფორმირებას, რაც სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტებთან. კურიკულუმი უზრუნველყოფს მიზნებზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც თითოეული აქტივობა და შეფასების კომპონენტი ემსახურება განსაზღვრული შედეგების მიღწევას და მოსწავლეთა პროგრესის ეფექტიან მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს; სტანდარტით გათვალისწინებული თემების ფარგლებში მუშავდება შუალედური მიზნები. **რჩევა** – სასურველია, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების კათედრამ კურიკულუმებისათვის შეიმუშაოს ერთიანი სტრუქტურული ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ და თანმიმდევრულად იქნება განსაზღვრული თითოეული სვეტის დანიშნულება. ასევე, მნიშვნელოვანია, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სწორად აისახოს სავალდებულო თემები, სტანდარტის შედეგები და დავალების იდეები. ასევე სასურველია, თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა შესაბამისი სამიზნე ცნება, ხოლო კონტექსტი/მაგალითები იყოს კონკრეტული და თემასთან უშუალოდ დაკავშირებული. ამასთან, სასურველია,

	კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ იმ რაოდენობის დავალებები, რომელთა განხორციელებაც სასწავლო პროცესში რეალურად და პრაქტიკულად არის შესაძლებელი **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში საბუნებისმეტყველო მიმართულებით წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებსა და შედეგებს. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები, მათ შორის სახელმძღვანელოები, ატლასები, ტაბულები, მოდელები, მულაჟები, სხვადასხვა ხელსაწყოები და რეაქტივები, ციფრული რესურსები და ექსპერიმენტული აქტივობებისთვის საჭირო საშუალებები, ვირტუალური ლაბორატორია, ტელესკოლისა და საშინაო სკოლის გაკვეთილები, CK-12. რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის და მათი გამოყენება ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას, კვლევითი მიდგომების ჩამოყალიბებას და საგნობრივი კომპეტენციების გაღრმავებას. სასწავლო რესურსები მიზანმიმართულედაა შერჩეული და გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა ჩართულობა, აქტიური მონაწილეობა და კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები, ეფექტურად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** .
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის სასწავლო მიზნების მისაღწევად სასწავლო რესურსები უნდა იყოს მრავალფეროვანი, სანდო, მოსწავლის ასაკსა და საჭიროებებზე მორგებული და ორიენტირებული არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებაზე, არამედ უნარების განვითარებაზე. კურიკულუმებზე დაყრდნობითა და გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაგ: ისტორიაში რესურსები მოიცავს სხვადასხვა ტიპის ისტორიულ წყაროებს. კათედრაზე იყენებენ ვიზუალურ და ინტერაქტიულ მასალებს. გეოგრაფიაში იყენებენ სხვადასხვა სახის რუკებს, სქემებს, სტატიებს, სტატისტიკურ მონაცემებს. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას არჩევით საგნად არჩეული აქვს გეოგრაფიული კვლევა. მიუხედავად ტექნოლოგიური შესაძლებლობების სიმწირისა, კათედრაზე მუშაობენ მოსწავლეებისთვის გეოგრაფიული კვლევითი უნარების გაუმჯობესებაზე, მათ შორის მოსწავლეს აძლევენ რეალურ გარემოში კვლევითი და

	პრაქტიკული დავალებების შესრულების შესაძლებლობას. რაც შეეხება მოქალაქეობასა და მე და საზოგადოებას, კათედრა ახორციელებს სხვადასხვა ტიპის პროექტებს, როლურ სიმულაციებს, ქეისების განხილვას და ა.შ. ამასთანავე, სკოლაში კათედრის წევრები აქტიურად მუშაობენ ინტეგრირებულ პროექტებზე. მაგ: განხორციელებული აქვთ გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საერთო პროექტი სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანთა უფლებების მდგომარეობისა შესწავლასთან დაკავშირებით, მოწყობილი აქვთ ისტორიული ვიქტორინები და ა.შ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის (რუსული) მასწავლებლები, წლის დასაწყისში მსჯელობენ კურიკულუმების განვითარებასთან დაკავშირებით, ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში. განსაზღვრავენ შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობას კლასების მიხედვით და განიხილავენ დიაგნოსტირების ფორმას. ადგენენ სამოქმედო გეგმას კერძოდ, გეგმავენ პროექტებს, არაფორმალური განათლების აქტივობებს, პროფესიული ზრდისთვის ღონისძიებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი, **საბაზო და საშუალო საფეხურის** მუსიკა და სახვითიდა გამოყენებითი ხელოვნება, კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, ინტერნეტ რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცეს ხდის მეტად საინტერესოსა და მოქნილს. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი, მიზნობრივად შერჩეული სასწავლო რესურსები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და საგნობრივ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში გამოყენებულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე რესურსები, დამატებითი ტექსტები, ილუსტრაციები, სქემები, პლაკატები, ელექტრონული რესურსები და აუდიო-ვიზუალური მასალები. რესურსების შექმნაში თავად მოსწავლეებიც მონაწილეობენ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ყველა კლასის კურიკულუმებში, ასევე გათვლისწინებულია მრავალდეროვანი დამხმარე საგანმანათლებლო ციფრული რესურსები, რომლებიც ჩაშენებულია ლინკების სახით (ტელესკოლის გაკვეთილები, ხანის აკადემია, math.ge რესურსები, იუტუბის ვიდეო რესურსები, phet და geogebra სიმულაციები). წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევისას თანამშრომლობენ და კათედრაზე ათანხმებენ იმ ელექტრონულ თუ მატერიალურ რესურსებს, რომელიც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების დამუშავებას და მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	პედაგოგებთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მიმართულებით კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები მრავალფეროვანია და სრულად შეესაბამება საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა-ით განსაზღვრულ შედეგებზე ორიენტირებულ მოთხოვნებს. გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები (ციფრული პლატფორმები, პრაქტიკული დავალებები, ვიზუალური და ინტერაქტიული მასალები) მიზნობრივად არის შერჩეული და პირდაპირ უკავშირდება სასწავლო მიზნებსა და შედეგებს. რესურსები უზრუნველყოფს როგორც თეორიული ცოდნის გააზრებას, ისე მისი პრაქტიკაში გამოყენებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების სწავლების პროცესში. მათი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, დამოუკიდებელ მუშაობას და ციფრული კომპეტენციების განვითარებას. მთლიანობაში, რესურსები ეფექტიანად უწყობს ხელს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ასევე- დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფმორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია, სადაც გათვალისწინებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები, მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. სკოლაში სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე ინკლუზიურია და ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას (ჩანს კურიკულუმებში, სადაც დავალებები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს), მათ შორის გასაუბრებაზე ისაუბრეს პედაგოგებმა თუ როგორ ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს კურიკულუმის დანერგვისას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა;** სასურველია, სასწავლო წლის დასაწყისში კათედრა შეთანხმდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ერთიან ფორმატზე, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის სისტემურობასა და ერთგვაროვან მიდგომას. ასევე, მიზანშეწონილია, თითოეული მოსწავლისთვის კლასების მიხედვით განისაზღვროს გრძელვადიანი მიზნები ყველა თემისა და შესაბამისი სამიზნე ცნების მიმართებით, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მიზნობრივ დაგეგმვასა და მოსწავლის პროგრესის ეფექტიან მონიტორინგს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, ნათელია, რომ სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. სკოლას გააჩნია ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო მიდგომები, ისგ გეგმები. გასაუბრებაზე ყურადღება გამახვილდა რეალურ გარემოში მათ განხორციელებაზე, დავალებების ადაპტაციის პრაქტიკაზე, რესურსების გამრავალფეროვნებაზე, შეფასების ფორმებსა და კრიტერიუმებზე, ინკლუზიური გარემოზე, სადაც ყველა მოსწავლე დაცულად, ჩართულად და მიღებულად გრძნობს თავს. პედაგოგები იზიარებენ ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების აუცილებლობასა და მექანიზმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; უცხოური ენების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული შემოქმედებითი დავალებების იდეები, რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, იძლევა მოქნილ სასწავლო გარემოს. კურიკულუმში მოცემული დავალებები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით. შემაჯამებელი დავალებებისა და დიაგნოსტიკური წერების საშუალებით ადგენენ მოსწავლეთა საჭიროებებს და მიმართავენ სათანადო ინტერვენციებს. კათედრაზე განხორციელებული პროექტები (ვიქტორინები, პროექტები დღესასწაულებზე, კულტურულ ძეგლებზე, ღირსშესანიშნაობებზე, მდგრადი განვითარების მიზნებზე, ბულინგზე, კათედრაზე

	აქტიურად მუშაობს ინგლისური ენის კლუბი) ეხმარება მოსწავლეებს ეფექტურად გადალახონ ენაში არსებული ბარიერები და შეძლონ თავისუფალი მეტყველება სხვადასხვა თემებზე. კათედრაზე მოქმედებს რემედიაციის პროგრამა. კათედრას აქვს ინდივიდუალური გემით სწავლების პრაქტიკა. კათედრა ახალისებს მოსწავლეთა ჩართულობას ოლიმპიადებსა და კონკურსებში. მასწავლებლები ესწრებიან სასწავლო ტრენიგებს, აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში (ბრიტანული საბჭოს მიერ შემოთავაზებული მოდულები ინგლისური ენის სწავლების მეთოდებზე, მიდგომემბზე, საკლასო აქტივობებზე; Global Teachers' Festival 2024 (19.02.2024 – 01.03.2024)- Macmillan Education-ის მიერ ორგანიზებული 10-დღიანი (15-საათიანი) საერთაშორისო მასწავლებელთა ტრენინგი თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობის მიზნით; საერთაშორისო პროექტი „Knowing each other's culture" — Glory Future Foundation-თან თანამშრომლობით; პროექტის მიზანი იყო მოსწავლეებში კულტურათაშორისი ცნობიერების, ტოლერანტობისა და გლობალური მოქალაქეობის განვითარება; ბუქარესტში პროექტი „EmpowerYouth"-ის ფარგლებში, პროექტის მიზანი: ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და სკოლების ჩართულობის გაზრდა კლიმატის ცვლილებებისა და გარემოს დაცვის საკითხებში.). მასწავლებლები მიღებულ ცოდნას-გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს და იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	თვითშფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია და კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მიერ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესის და მოსწავლეების მიღწევების აღწერა იძლევა საფუძველს რომ კათედრა **სამივე საფეხურზე** ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს, ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივოების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობეს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დირენეცირებას, რაც კურიკულუმებში ნაწილობრივ აისახება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა მრავალფეროვნებას და უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სწავლების დაგეგმვისას მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც გამოიხატება დავალებების, აქტივობებისა და რესურსების მრავალფეროვნებაში. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საჭიროებები. მათთვის, საჭიროების შესაბამისად, შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

	კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დამუშავებული თემებისა და საკითხების, შესაბამისი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრას გათვალისწინებული აქვს სწავლების დიფერენცირებული მიდგომის პრინციპები. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ბუნების დავალებებზე, რაც თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას; კათედრამ წარმოადგინა რამდენიმე შემოქმედებითი ტიპის დავალება, სადაც მოსწავლეებმა სხვადასხვა სახის საბოლოო პროდუქტები. როგორც აღნიშნეს, მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები გათვლილი იყო სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის თავისუფლებას ან სთავაზობენ ისეთ დავალებას, რომელიც მორგებულია მათ შესაძლებლობებს. საჭიროებისამებრ ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის; კათედრამ წარმოადგინა რემედიაციის პროგრამა, კონკრეტულ თემებზე გაწერილი ადაპტირებული დავალებების ნიმუშები, ინდივიდუალური გეგმები. ეს იმაზე მეტყველებს, რომმასწავლებლებს შეუძლიათ სასწავლო პროცესი დაგეგმონ ისე, რომ გამოიყენონ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, ნათელია, რომ სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. სკოლის მასალაში ინდგეგმები არის წარმოდგენილი. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებს აქვთ მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მიმართულებით სასწავლო პროცესი აშკარად არის დაგეგმილი ინკლუზიური განათლების პრინციპებზე დაყრდნობით და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას. პროცესში გათვალისწინებულია ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის განსხვავებული ტემპი, რაც ქმნის თანაბარ და მხარდამჭერ სასწავლო გარემოს. გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომები, მათ შორის სხვადასხვა სირთულის დავალებები, ალტერნატიული აქტივობები და ინდივიდუალურად მორგებული რესურსები. მასწავლებელი ეფექტიანად იყენებს მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის პროგრესს და მათ მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სასწავლო გარემო ხელს უწყობს თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და მოსწავლეთა უნარების სრულფასოვან განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია, (ისგ და ალტერნატიული სასწავლო გეგმები), სადაც გათვალისწინებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები, მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, გაწერილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები. წარმოდგენილია ადაპტირებული დავალებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ჩანს მოლოდინები, რომებიც მიემართება სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში კი- შედეგების ინდიკატორებს. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი შეფასების ფორმები და ინსტრუმენტები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის გამოვლენასა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. **ინდიკტორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრას აქვს სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. შეფასების კრიტერიუმები მორგებულია ცნებებსა და კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტის იდეას. კათედრაზე იყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს, რომელზეც დაკვირვებას აწარმოებენ მასწავლებლები მოსწავლეზე მონაცემთა მოგროვების მიზნით, რათა შეძლოს დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად. გასაუბრების დროს სკოლას მიეცა რჩევა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ განმავითარებელი შეფასების იდეაზე, რადგან ის სრულად იყოს დაცლილი შაბლონურობისგან და მეტად მიემართებოდეს კონკრეტულ მახასიათებლებს. პედაგოგებმა გასაუბრების შემდეგ აქტიურად იმუშავეს შეფასებების სქემების დახვეწაზე. **რჩევა** - სასურველია, შეფასების სისტემა მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლის განვითარებასა და სწავლების პროცესის მხარდაჭერაზე. ასევე დავალებისთვის წინასწარ განისაზღვროს მკაფიო და გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმები, რათა მოსწავლეებმა ზუსტად იცოდნენ, რა მოლოდინები და მოთხოვნები არსებობს კონკრეტული დავალების შესრულებისას. სასურველია ყურადღება დაეთმოს განმავითარებელი შეფასების გაძლიერებას - ქულობრივ შეფასებასთან ერთად მოსწავლეებმა სასურველია მიიღონ კონკრეტული,

	კონსტრუქციული და განვითარებისკენ მიმართული უკუკავშირი, რომელიც გამოკვეთს როგორც მათ ძლიერ მხარეებს, ისე გაუმჯობესების საჭიროებებს. ასევე, სასურველია, შეფასების პროცესში მეტად იყოს უზრუნველყოფილი მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების მექანიზმების გამოყენებით. სასურველია შუალედური უკუკავშირის სისტემატური დანერგვაც, რაც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას ეტაპობრივად გააუმჯობესონ საკუთარი ნამუშევარი და მეტად გააცნობიერონ საკუთარი სასწავლო პროგრესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს ორივე ტიპის შეფასებას: განმსაზღვრელ და განმავითარებელს. გამავითარებელი შეფასება ხორციელდება 1-4 კლასში და მე-5 კლასის პირველ სემესტრში, ხოლო განმსაზღვრელი შეშეფასება გამოიყენება მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-12 კლასის ჩათვლით. შეფასება სრულად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლაში განმავითარებელი შეფასების წარმოება ხდება ზეპირი და წერითი უკუკავშირით როგორც წერილობითი კომენტარი, ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკით. კათედრას შემუშავებული აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. რუბრიკას იცნობენ მოსწავლეები. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, გამჭირვალეობას, სანდოობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრამ წარმოადგინა ზოგადი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები, რომელსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი **დაწყებით** საფეხურზე განმავითარებელი შეფასებისთვის ხშირად გამოიყენებენ ისეთ საშუალებებს, როგორიცაა დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. **საბაზო და საშუალო** საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში წარმოდგენილია რამდენიმე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. ასევე სკოლას აქვს წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტი სადაც აღნიშნულია რომ სკოლა კათედრებზე შეიმუშავებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ რუბრიკებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, შემუშავებულია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმებსაც იყენებენ. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ზოგ შემთხვევაში მეტ-ნაკლებადაა ასახული მე-3 თაობის ესგ-ს ინდიკატორები თითოეულ ცნებასთან მიმართებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, შეფასების რუბრიკების შემუშავებისას უფრო მეტად იყოს გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორები და კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმები, რომლისთვისაც იქმნება შესაბამისი რუბრიკა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რუბრიკაში მკაფიოდ და თვალსაჩინოდ გამოიკვეთოს, თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით კონკრეტულად რა კომპონენტი და უნარი ფასდება დავალებაში, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სიზუსტეს, გამჭვირვალობასა და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობას.
მათემატიკა	სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრაზე შემუშავებული შეფასების რუბრიკის ნიმუშები. სამივე საფეხურზე იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას წარმოადგინეს საფეხურების მიხედვით კონკრეტულ თემაზე გაწერილი განმსაზღვრელი შეფასების თითო ნიმუში, სადაც რუბრიკები გაწერილი იყო სამიზნე ცნებების შესაბამისად, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სტანდარტის შედეგების მიღწევების ინდიკატორების შესაბამისად. კათედრამ ასევე წარმოადგინა დიგნოსტიკური წერის შეფასებები და ანალიზები. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და გასაუბრებიდან ირკვევა, რომ ხშირად იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მიმართულებით გამოყენებული შეფასების სისტემა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა-ით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებსა და ამოცანებთან. შეფასება არის

	სისტემური, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების ობიექტურ განსაზღვრას. გამოყენებულია შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის მუდმივ მონიტორინგს და დროულ, კონსტრუქციულ უკუკავშირს. შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ არის განსაზღვრული და წინასწარ არის ცნობილი მოსწავლეებისთვის, რაც ზრდის მათ ჩართულობასა და პასუხისმგებლობას საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ. სისტემა ეფექტიანად უზრუნველყოფს არა მხოლოდ მიღწეული შედეგების შეფასებას, არამედ სწავლის პროცესის გაუმჯობესებასა და თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, როგორიცაა დავალების, პრეზენტაციის, დისკუსიის და ა.შ. სხვადასხვა აქტივობის შეფასება. **რჩევა:** სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმებში გაწერილ კონკრეტულ დავალებებზე მორგებული შეფასების რუბრიკები. ამასთან, მნიშვნელოვანია, რუბრიკებში მკაფიოდ გამოიკვეთოს შეფასების კრიტერიუმების მიმართება შესაბამის სამიზნე ცნებებსა და სტანდარტით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მიზნობრიობას, გამჭვირვალობასა და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საბაზო და საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კურიკულუმები;
- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საზ. მეცნიერებების კურიკულუმები;
- პროექტების გეგმები;
- სსსმ მოსწავლის ადაპტირებული შემოქმედებითი დავალებები;

- უცხოური ენების კურიკულუმები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე , ინგლისური ,გერმანული და რუსული ენები;
- ისგ გეგმები;
- სასკოლო კურიკულუმი მუსიკა და ხელოვნება;
- კურიკულუმები ყველა კლასის მათემატიკაში;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმები;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- პროექტები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- დიაგნოსტიკური დავალების ანალიზი;
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი;
- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- შემოქმედებითი დავალებების ბარათები, განხორციელების ეტაპების მასალები, პროდუქტები, მასწავლებლის უკუკავშირი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასების, ურთიერთშეფასების, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასკოლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემებში მუშავდება სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ამის დასტურად სკოლას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებებისა და პროექტების პროდუქტები, გეგმები, შეფასებები და რეფლექსიები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესის კურიკულუმის მიხედვით წარმართვა მნიშვნელოვანია რადგან კურიკულუმი განსაზღვრავს სწავლების მიზნებს, შინაარსს, უნარებსა და შედეგებს. მისი დაცვა უზრუნველყოფს, რომ სწავლება იყოს სისტემური, თანმიმდევრული და მოსწავლეზე ორიენტირებული. სკოლის მიერ განსახილველად გამოგზავნილი კურიკულუმები შემუშავებულია 2025-2026 წლის სასწავლო წლისთვის. გასაუბრებისას პედაგოგებმა ისაუბრეს კურიკულუმის რეალურ სასწავლო პროცესში განხორციელებასთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესში საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნების კურიკულუმებში საკითხებად და საკითხთა კლასტერებად გაწერილია ისეთი საკითხები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ თემას, ცნებებსა და მიზნებს. ის ხელს უწყობს მოსწავლემ მიიღოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნით გათვალისწინებული განათლება. მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებას, რაც მათ მრავალი უნარის განვითარების შესაძლებლობას აძლევს. **რჩევა:** სასურველია, განხორციელდეს სასწავლო პროცესის რეგულარული მონიტორინგი და ანალიზი, რათა შეფასდეს, რამდენად შეესაბამება რეალურად მიმდინარე სწავლება კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია, საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს დროული კორექტირება, რადგან კურიკულუმი წარმოადგენს დინამიკურ და განვითარებაზე ორიენტირებულ დოკუმენტს, რომელიც მუდმივ გაუმჯობესებას საჭიროებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებს მეთოდოლოგია სადაც ნათლად არის გაწერილი კურიკულუმის განვითარების ფაზების კერძოდ: კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგი და შეფასების, გადასინჯვა. რევიზიის პროცესები და პასუხისმგებელი პირები. ამის დასტურია ასევე წრმოდგენილი სასკოლო საათობრივი ბადე; საგნობრივი კურიკულუმები; - საგანმანათლებლო რესურსი (ძირითადი და დამატებითი ელ. რესურსები) მოსწავლის შედეგების შეფასების რუბრიკები. მასწავლებელთა ურთიერთდასწრება კრიტიკული მეგობრის პრაქტიკა; მოსწავლეთა რემედიაციის პროგრამა. მოსწავლის ადაპტაციის წესის პრაქტიკა.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმში გაწერილი სასწავლო პროცესი შეესაბამება ეროვნული სასწავლო სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. კურიკულუმში სასწავლო პროცესი დაგეგმილია თანმიმდევრულად და მოიცავს როგორც შუალედურ მიზნებს, ასევე აზუსტებს სამიზნე ცნებების შინაარსსა და მათ ქვეცნებებს. სასწავლო პროცესი მიმართულია საგნობრივი საკითხების მრავალმხრივი გააზრებისკენ და უზრუნველყოფს ცოდნის განზოგადებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და უზრუნველყოფს სამიზნე ცოდნის დაუფლებასა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუს საფუძველზე გამოჩნდა, სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი. მასწავლებლები წლის დასაწყისში იკრიბებიან კათედრაზე და შეიმუშავებენ, ცვლიან, აახლებენ სასკოლო კურიკულუმს სასკოლო საზოგადოების საჭიროების მიხედვით და შეთანხმებული, შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის მიხედვით წარმართავენ სასწავლო პროცესს მთელი წლის განმავლობაში. ასევე, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, საჭიროების შემთხვევაში, ახდენენ მის ადაპტირებას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციებიდან: მტკიცებულებებიდან, თვითშეფასების ანგარიშიდან და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან და ინტერვიუდან გამომდინარე, დგინდება, რომ სასწავლო პროცესი სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში ვხვდებით კვლევითი ტიპის დავალებებს, ასევე წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო კონტექსტები (მაგალითად: მიუწვდომელ წერტილამდე მანძილის გაზომვა, მილების ამოცანა, გასართობი პარკის პროექტი, ქალაქში გადაადგილების აპლიკაციის შექმნა, ფოთლებში გაფანტული მათემატიკა,), რაც საშუალებას აძლევს მათ ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. სწავლა-სწავლების პროცესში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე. კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ფიზიკურთან ერთად გონებრივი უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. სამივე საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პროცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მიმართულებით სასწავლო პროცესი მკაფიოდ არის დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგაკვეთილო გეგმები, სასწავლო მიზნები, აქტივობები და შეფასების კომპონენტები ლოგიკურად გამომდინარეობს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგებიდან, რაც უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულობასა და მიზანმიმართულობას. გაკვეთილები სტრუქტურირებულია ისე, რომ თითოეული ეტაპი ემსახურება კონკრეტული სასწავლო მიზნის მიღწევას, გამოყენებულია შესაბამისი რესურსები და მეთოდები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია დაგეგმილ შინაარსთან. მასწავლებელი ეფექტიანად ახორციელებს დაგეგმილ პროცესს, ინარჩუნებს ლოგიკურ თანმიმდევრობას და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს პროცესის ადაპტირებას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს კურიკულუმის ეფექტიან განხორციელებას და მოსწავლეთა შედეგებზე ორიენტირებულ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ძირითადად ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება). გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, სავალდებულო თემების ფარგლებში, შუალედური მიზნების დახმარებით მუშავდება კურიკულუმში გაწერილი საკითხები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე. წლის განმავლობაში მუდმივად მიმდინარეობს საჭიროებების დადგენის პროცესი. სკოლა სწავლა/სწავლების პროცესში მოსწავლეთა სხვადასხვა საჭიროების იდენტიფიცირების შემდეგ მოქნილად რეაგირებს, რაც გამოიხატება სასკოლო გარემოს, კურიკულუმებისა და კომპლექსური დავალებების, რესურსების მოდიფიცირებაში.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს და სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ შეფასებისას სხვადასხვა ინსტრუმენტებს იყენებენ, როგორიცაა თვითშეფასების, ურთიერთშეფასების, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის, პროექტის შეფასების და სხვა რუბრიკები. მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმები წინასწარაა ცნობილი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასებების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. ისინი იძლევა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასებების საფუძველს. მიმართულების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებების სისტემა ერთიანია და მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, საგნების შესაბამისად. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ შეფასების სისტემას და დასვან კითხვები მასთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას, სამართლიანობას. კათედრას წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი ბუნების დავალების განმავითარებელი, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე წარმოდგენილი აქვს დიაგნოსტიკური წერის ანალიზი; რუბრიკა არის შესაფასებელი დავალების ვალიდური. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ორივე საგნის **დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის** ზოგადი განმავითარებელი შეფასების და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, თვითშფასების დოკუმენტი და ვერიფიკაციის დოკუმენტი. ასევე მასწავლებლებთან საუბრის დროს გამოჩნდა, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან

	შეფასების რებურიკებს, ასევე მათ ინდივიდუალურად ეძლევათ განმავითარებელი შეფასების დროს კომენტარები რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კათედრა სამივე საფეხურზე სისტემურად ცდილობს შეიმუშაოს და განახორციელოს შეფასების ისეთი მოდელი, რომელიც ეფუძნება სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. სკოლაში იყენებენ როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას. ასევე იყენებენ მოსწავლეთა ურთიერთ და თვითშეფასების ფორმებს. შექმნილი აქვთ შეფასების რუბრიკები, რომლებსაც იცნობენ მოსწავლეები, ანუ მათ წინასწარ იციან, რას და როგორ შეუფასებს მასწავლებელი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კათედრა იყენებს შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, შეფასების ზოგად რუბრიკებს (ჯგუფური მუშაობის, პოსტერების, საშინაო დავალების, პრეზენტაციის, პროექტზე მუშაობის, თვითშეფასების) ასევე, განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც კათედრამ წარმოადგინა კონკრეტულ თემებზე გაწერილი, საფეხურების მიხედვით. ასევე ნერგავს დიაგნოსტიკურ შეფასებებს, იყენებს ჰოლისტური შეფასების ინსტრუმენტებს. მოსწავლეებმა იციან, როგორ შეფასდება მათი შრომა, ზუსტად აქვთ გააზრებული, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. ეს ყოველივე გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მასწავლებლები კათედრაზე უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ მომავალი შეფასების რუბრიკები შექმნილია და შერჩეულია თემების მიხედვით, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მიმართულებით დანერგილი შეფასების სისტემა სრულად აკმაყოფილებს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს და შეესაბამება საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს. შეფასების ინსტრუმენტები და მეთოდები

	უშუალოდ არის დაკავშირებული სასწავლო მიზნებსა და შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მკაფიოდ გაზიარებულია მოსწავლეებთან, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობას. გამოყენებული მიდგომები უზრუნველყოფს ერთგვაროვან და თანმიმდევრულ შეფასებას, რაც ამყარებს სისტემის სანდოობას. მასწავლებელი აფასებს მოსწავლეთა მიღწევებს ობიექტურად, წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რაც გამორიცხავს სუბიექტურობას და უზრუნველყოფს სამართლიან გარემოს ყველა მოსწავლისთვის. შეფასების პროცესი ასევე ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და უზრუნველყოფს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რაც ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ შეფასებისას სხვადასხვა ინსტრუმენტებს იყენებენ, მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმები წინასწარაა ცნობილი. ყველა მოსწავლე ფასდება თანაბარ პირობებში. ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც წარმოადგენს სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტს და ემსახურება შეფასების სანდოობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. ვერიფიკაცია განიხილება როგორც მოსწავლის მხარდაჭერისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს შეფასების პრაქტიკის თანმიმდევრულობასა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში დირექციასთან და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლაში მოქმედებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, რომლებიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით №2-29. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში განსაზღვრულია ვერიფიკაციის განხორციელების პროცედურები, ჩართული პირების ფუნქცია-მოვალეობები და შეფასების პროცესის ხარისხის კონტროლის მექანიზმები.

მასწავლებლებმა ვიზიტის დროს დაადასტურეს, რომ ვერიფიკაციის მექანიზმები პრაქტიკულად გამოიყენება საბაზო და საშუალო საფეხურზე, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებების პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი დოკუმენტაცია, შეფასების ნიმუშები და შესაბამისი მასალები ადასტურებს, რომ პედაგოგები ახორციელებენ შეფასების შედეგების გადამოწმებასა და ანალიზს საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით, არანაკლებ სამი წლის ვადით. სკოლაში შექმნილია დოკუმენტების არქივი მატერიალური სახით, სადაც დაცულია მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ამ ეტაპზე სკოლაში შეფასება ხორციელდება ელექტრონულ ჟურნალში და ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს მის აღრიცხვასა და შენახვას.

ინდიკატორი 2.2.1.5. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- მოდიფიცირებული შემოქმედებითი დავალება;
- კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალების ანალიზი;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- კათედრების სამუშაო გეგმები.
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- კათედრის ანგარიში;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს.წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი
- პროექტები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- დიაგნოსტიკური დავალების ანალიზი
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი
- ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი

მოსწავლის ადაპტაციის წესი

- თვითშეფასების დოკუმენტი
- ზოგადი შეფასების სხვადასხვა რუბრიკები
- დიაგნოსტიკური შეფასების ანალიზი

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში საბუნებისმეტყველო მიმართულებით სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით. სასწავლო პროცესში გამოიყენება სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები და მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევები, რომლებიც სრულად შეესაბამება ესგ-სა და საგნობრივ კურიკულუმებს. პედაგოგები დამხმარე რესურსებად იყენებენ ენციკლოპედიებსს, ატლასებს, PP პრეზენტაციებს, ცხრილებს. ტელესკოლისა და საშინაო სკოლის გაკვეთილებს, ვირტუალურ ლაბორატორიას, მოდელებს, ტაბულებს, რეაქტივებსა და ხელსაწყოებს. აღნიშნული რესურსები გამოიყენება თეორიული მასალის უკეთ გასააზრებლად, ექსპერიმენტული და კვლევითი აქტივობების განხორციელებისთვის, ასევე მოსწავლეთა დაკვირვებისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის. სასწავლო რესურსების გამოყენება ხელს უწყობს ინტერაქტიულ სწავლებასა და დიფერენცირებული სწავლების მიდგომების გამოყენებას. მასწავლებლები რესურსებს მიზნობრივად არჩევენ გაკვეთილის მიზნების, თემის სპეციფიკისა და მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას და სწავლის შედეგების მოღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა იყენებს საკმაოდ მრავალფეროვან რესურსებს. არის პრობლემა გეოგრაფიული კვლევის ფარგლებში შესაბამისი ხელსაწყოების გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა კათედრა ცდილობს დააბალანსოს ის მოსწავლეთათვის რეალურ გარემოზე დაკვირვების შესაძლებლობების შექმნით. **რჩევა** - სასურველია, სასწავლო პროცესში აქტიურად იყოს გამოყენებული გეოგრაფიული ციფრული რესურსები და აპლიკაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კვლევითი უნარების განვითარებას, სივრცითი აზროვნების გაძლიერებასა და სხვადასხვა გეოგრაფიული ხელსაწყოს გამოყენების პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას. სასურველია ისეთი პლატფორმებისა და პროგრამების ინტეგრირება, როგორიცაა: • Google Earth -პლატფორმა, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს 3D ფორმატში დაათვალიერონ დედამიწა, შეისწავლონ რელიეფი, კლიმატი, ქალაქები, ისტორიული ცვლილებები და შექმნან საკუთარი გეოგრაფიული პროექტები; • QGIS - უფასო GIS პროგრამა, რომელიც გამოიყენება სივრცითი მონაცემების ანალიზის, თემატური რუკებისა და კვლევითი პროექტების შესაქმნელად, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურებზე; • Google Maps - რესურსი, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები სწავლობენ მარშრუტების დაგეგმვას, კოორდინატების განსაზღვრას, მანძილების გაზომვასა და სხვადასხვა ლოკაციის კვლევას; • National Geographic MapMaker - საგანმანათლებლო GIS ინსტრუმენტი, რომელიც მოსწავლეებს თემატურ რუკებზე მუშაობის შესაძლებლობას აძლევს; • Google Earth Engine - პლატფორმა, რომელიც გამოიყენება გარემოს ცვლილებების, კლიმატის, ტყეების, წყლის რესურსებისა და სატელიტური მონაცემების კვლევისათვის და განსაკუთრებით ეფექტიანია კვლევით პროექტებში.

	ასევე, შესაბამისი ფიზიკური რესურსების არარსებობის შემთხვევაში, სასურველია გამოყენებულ იქნეს მობილური აპლიკაციები, რომლებიც ფუნქციურად ანაცვლებს ისეთ გეოგრაფიულ ხელსაწყოებს, როგორიცაა კომპასი, ბარომეტრი, ალტიმეტრი და სხვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს პრაქტიკული სწავლების გაძლიერებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ეფექტიან ინტეგრირებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს, რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი, დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სწავლების პროცესში გამოყენებული ძირითადი და დამატებითი რესურსები შეესაბამება საგნობრივ მოთხოვნებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ სასწავლო მასალის გააზრებას. კურიკულუმებში წარმოდგენილი ძირითადი რესურსი დამტკიცებულია კანონმდებლობით. როგორც ძირითადი, ისე დამხმარე საგანმანათლებლო საშუალებები ქმნის საფუძველს **სამივე საფეხურზე** სტანდარტით განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მიღწევისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი და მიზნობრივად შერჩეული რესურსებით, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და სასწავლო მიზნებს. გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამატებითი ტექსტები, ვიზუალური და ელექტრონული რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის შედეგების მიღწევას. მოსწავლეები მონაწილეობენ რესურსების შექმნაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	საგნობრივი კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი და ელექტრონული რესურსების ბმულები, რომლიც გამოყენებასაც გეგმავს მასწავლებელი. სასწავლო მიზნების მისაღწევად და მოსწავლეთა დასაინტერესებლად.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სპორტი	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს, მიზანს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მიმართულებით კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები სისტემურად და მიზანმიმართულად გამოიყენება სასწავლო პროცესში. რესურსები შერჩეულია სასწავლო მიზნებისა და შედეგების შესაბამისად და უზრუნველყოფს როგორც თეორიული ცოდნის გააზრებას, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებას. გასაუბრების პროცესში მასწავლებელმა განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოაჩინა, თუ როგორ ახდენს აღნიშნული რესურსების ინტეგრირებას ყოველდღიურ საგაკვეთილო პრაქტიკაში, დეტალურად აღწერა მათი გამოყენების ეტაპები, მიზნობრიობა და კავშირი სასწავლო შედეგებთან. წარმოდგენილი მაგალითები იყო თანმიმდევრული, არგუმენტირებული და აჩვენებდა, რომ რესურსების გამოყენება არა ფორმალურ, არამედ გააზრებულ და შედეგზე ორიენტირებულ პროცესს წარმოადგენს. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ რესურსები ეფექტიანად არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესში და რეალურად უწყობს ხელს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსებით. ასევე, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები და მოსწავლები იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, დამატებით მატერიალურ, აუდიო და ვიდეო რესურსებს. რესურსები მორგებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა რეგულარულად ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების შინაარსობრივ, მეთოდურ და პრაქტიკულ შემოწმებას, რათა ისინი შესაბამისი იყოს კურიკულუმის მიზნებთან და საგნობრივ სტანდარტებთან, საჭიროების შემთხვევაში რესურსები განახლდება და ადაპტირდება, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტურ გამოყენებას სასწავლო პროცესში. ვალიდაციის პროცესში მონაწილეობენ პედაგოგები და ადმინისტრაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	გასაუბრებიდან ირკვევა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებაში შემავალი საგნების პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს რესურსებს და მონაწილოებენ სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვაში. რესურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს. სასურველია ნებისმიერი რესურსი (წიგნი, ონლაინ მასალა, ვიდეო, სამუშაო ფურცელი) შეფასდეს ვალიდაციის პრონციპით შექმნილი კრიტერიუმების მიხედვით. კათედრის წევრებს აქვთ თანამშრომლობითი კომუნიკაცია ერთმანეთთან, რაც მათ გაუადვილებს, რომ ერთობლივად განიხილონ რესურსები გამოყენებამდე. ასევე ეფექტურია რესურსების პილოტირება — მათი გამოცდა კონკრეტულ კლასში და შემდეგ უკუკავშირის შეგროვება როგორც მოსწავლეებისგან, ისე მასწავლებლებისგან, რათა შეფასდეს, რამდენად ეფექტურია მასალა პრაქტიკაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში კათედრის სხდომაზე ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სასწავლო ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე რესურსი შერჩეულია მიზნობრივად თემატური ერთეულების მიხედვით. კათედრის წევრების ურთიერთშეთანხმებით ხდება რესურსების შერჩევა, რომლის ვალიდაციასაც თავადვე

	უზრუნველყოფენ. კერძოდ, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, გარდა იმისა, რომ სასწავლო რესურსი შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, საგნობრივ სტანდარტთან, მნიშვნელოვანია, რამდენად ეფექტურად მუშაობს ესა თუ ის რესურსი და ავითარებს თუ არა საჭირო უნარებს. ამისათვის მასწავლებლები აკვირდებიან პროცესს, ისმენენ მოსწავლეთა აზრს, შემდეგ კი კათედრაზე განიხილავენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს სკოლა კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სამივე საფეხურზე შერჩეული math.ge, და სხვა საგანმანათლებლო პორტალებიდან, შეესაბამება ესგ-თი გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. ის შეთანხმებულია კათედრაზე, რაც დასტურდება კათედრის N1 ოქმით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში სკოლაში დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა და გამოყენება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათი შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან და საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა-ით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. დამხმარე რესურსები გადის ვალიდაციის პროცესს, რომლის ფარგლებში ფასდება მათი შინაარსობრივი სისწორე, პედაგოგიური შესაბამისობა და გამოყენების ეფექტიანობა. სკოლა სისტემურად აკონტროლებს გამოყენებული რესურსების ხარისხს და უზრუნველყოფს მხოლოდ იმ მასალების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, რომლებიც რეალურად უწყობს ხელს მოსწავლეთა სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული მიდგომა ქმნის სტანდარტიზებულ და ხარისხზე ორიენტირებულ გარემოს, სადაც რესურსების გამოყენება გააზრებულად და მიზანმიმართულად ხდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ვალიდაციის პროცესში ჩართულია კათედრის ყველა წევრი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რაც უზრუნველყოფს რესურსების მრავალმხრივ შეფასებას, ხარისხის კონტროლსა და გამოყენების მიზნობრიობას. აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომა ზრდის რესურსების სანდოობას და ეფექტიანობას სასწავლო

	პროცესში. ამასთან, პედაგოგები საჭიროების შემთხვევაში ახდენენ რესურსების ადაპტირებას კონკრეტული კლასის ან მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით, მათ შორის სსმ მოსწავლეთათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება მიმდინარეობს არსებული რესურსების ფარგლებში. სპეციალურად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სკოლას არ გააჩნია, თუმცა მასწავლებლები იყენებენ ალტერნატიულ რესურსებს-თვალსჩინოებებს, მარტივ ექსპერიმენტებს, ციფრულ მასალებს და ვიდეორესურსებს, რაც ნაწილობრივ უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას. რესურსების სიმცირე გარკვეულწილად ზღუდავს საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა ექსპერიმენტულ ჩართულობასა და კვლევითი უნარების განვითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაწესებულება გეგმავს 1 წლის ვადაში (20.02.2026 – 30.12.2026) საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულად აღჭურვას საჭირო მატერიალური რესურსით, ცეცხლგამძლე და გამწოვი კარადის დამონტაჟებას სასწავლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული პროცესი მიუთითებს, რომ სკოლა სწორად გეგმავს და ახორციელებს რესურსებით უზრუნველყოფას და მიდის სრული შესაბამისობის მიღწევისკენ. ***სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია*** **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მოსწავლეებს თანაბრად შეუძლიათ გამოიყენონ საჭირო რესურსები.

	ამასთანავე, გათვალისწინებულია მოსწავლეების შესაბამისი ინდივიდუალური საჭიროებები, ძლიერი და განსავითარებელი მხარეები და დავალებების შემუშავება ხდება მათი შესაძლებლობების ანალიზის საფუძველზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, შესაბამისი სასკოლო სივრცით, საკლასო ოთახები მოწესრიგებულია და სასკოლო აქტივობებისათვის აუცილებელი რესურსებით არის აღჭურვილი. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შესაძლებელია პრაქტიკული აქტივობების ჩატარება მუსიკასა და ხელოვნებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებით. სწავლების პროცესში ხელმისაწვდომია საჭირო რესურსები, რომლებიც ეფექტიანად გამოიყენება და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი ფიზიკური თუ ციფრული რესურსების სახით, რაც საშუალებას აძლევს, როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, ყველა მოსწავლე დატვირთულია მრავალფეროვანი აქტივობებით, პედაგოგებთან გასაუბრებით და თვითშეფასების ფორმის ნარატივით, ირკვევა, რომ ისინი აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ მას კოლეგებს და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის შემდგომში დაგეგმვისას, წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მიმართულებით კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რომელიც სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნებსა და საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსებით, რაც შესაძლებელს ხდის როგორც თეორიული ცოდნის ეფექტიან მიწოდებას, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებას. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა გათვალისწინებულია ისე, რომ თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს რესურსებზე ხელმისაწვდომობა და აქტიური ჩართულობის შესაძლებლობა. ეს უზრუნველყოფს ინდივიდუალურ მუშაობას, უსაფრთხო და ორგანიზებულ სასწავლო პროცესს და კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების სრულფასოვან მიღწევას. აღნიშნული გარემო ქმნის ეფექტიან და შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო სივრცეს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. კლასებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ძირითადი და დამხმარე სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი: პედაგოგები, სპეც.მასწავლებლები, რომელთაც შესაბამისი კვალიფიკაცია გააჩნიათ.

ინდიკატორი 2.2.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს.წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- განმავითარებელი, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- დიაგნოსტიკური დავალების ანალიზი;
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი;
- პედაგოგიური ცოდნა-გამოცდილების გაზიარება;
- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- მოსწავლის რემედიაციის წესი;
- შემოქმედებითი დავალებების ბარათები, განხორციელების ეტაპების მასალები, პროდუქტები, მასწავლებლის უკუკავშირი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასების, ურთიერთშეფასების, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის შეფასების რუბრიკები;
- დიაგნოსტირება დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური;
- ინტეგრირებული გაკვეთილი და პროექტები;
- ისგ გეგმები.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლაში კურიკულუმის დანერგვის პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიური ჩარჩოს ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის სისტემურ განვითარებასა და ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო გეგმის მართვის ციკლში და წარმოადგენს მისი ეფექტიანობის შეფასების მნიშვნელოვან მექანიზმს.

სკოლას შემუშავებული აქვს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს მონიტორინგის განხორციელების ფორმებს, გამოყენებულ ინსტრუმენტებს, პერიოდულობასა და შეფასების ინდიკატორებს. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულებისა და პასუხისმგებელი პირების - ხარისხის მართვის ჯგუფის, კათედრის თავმჯდომარეებისა და პედაგოგების - ფუნქცია-მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების სწორ გადანაწილებას, პროცესის კოორდინაციასა და გამჭვირვალობას.

კურიკულუმის მონიტორინგი მოიცავს როგორც სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, ასევე მოსწავლეთა შედეგების, სწავლების მეთოდების, რესურსების გამოყენებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებას. პროცესის ფარგლებში ხორციელდება გაკვეთილებზე დასწრება, პედაგოგებთან სამუშაო შეხვედრები, კათედრების საქმიანობის ანალიზი, სასწავლო დოკუმენტაციის შესწავლა და მიღებული შედეგების განხილვა. აღნიშნული საქმიანობა დასტურდება შესაბამისი ოქმებით, ანგარიშებითა და შიდა დოკუმენტაციით.

მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოიყენება კურიკულუმის შემდგომი დახვეწისა და განახლებისთვის. ანალიზის საფუძველზე სკოლა ახდენს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას, სწავლების ხარისხის ზრდასა და საგანმანათლებლო რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას. აღნიშნული მიდგომა აძლიერებს სკოლაში ხარისხის მართვის კულტურას და უზრუნველყოფს კურიკულუმის განვითარებაზე ორიენტირებულ, შედეგზე დაფუძნებულ პროცესს.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ორიენტირებულია ხარვეზების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის ეფექტური გზების შემუშავებაზე მონიტორინგის პროცესში მიღებული ეფექტური უკუკავშირი წარმოადგენს ძირითად ინსტრუმენტს პრობლემების დროული იდენტიფიცირებისა და პრევენციისთვის.გადაწყვეტილების მიღების პროცესში სისტემურად გაითვალისწინება მოსწავლეთა აკადემიური შედეგები, ასევე მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული რეფლექსია. შეფასების შედეგები პირდაპირ აისახება სასწავლო პროცესის კორექტირებაზე, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლის დირექციის წარმომადგენლები პერიოდულად ესწრებიან მასწავლებლებს სხვადასხვა აქტივობის განხორციელების დროს, იქნება ეს სასწავლო თუ სოციალური პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.შ. სკოლას გათავისებული აქვს რომ მონიტორინგი და შეფასება ეფექტურია მაშინ, თუ ის მიზნობრივადაა განხორციელებული და ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორი 2.3.1.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- მონიტორინგის ოქმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში დანერგილი სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა ეფუძნება კომპლექსურ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური თუ პიროვნული განვითარებას,შეფასების პროცესი ჰოლისტური ხასიათისაა და ეყრდნობა ინფორმაციის სხვადასხვა არხს. მონაცემთა იდენტიფიცირება ხდება საგნის მასწავლებლის უშუალო დაკვირვებით, კლასის ხელმძღვანელთან კოორდინაციით, კოლეგებთან პროფესიული დიალოგით, ასევე მშობლებისა და თანაკლასელების უკუკავშირის საფუძველზე.საგნობრივ კათედრებზე შემუშავებულია და პრაქტიკაში გამოიყენება შეფასების ვალიდური ფორმები და რუბრიკები, კერძოდ:მოსწავლის პროგრესის ხელშესაწყობად და სამოქმედო ორიენტირების დასასახად; განმსაზღვრელი შეფასება: აკადემიური მიღწევების დონის დასადგენად; ურთიერთშეფასების და თვითშეფასების რუბრიკები: მეტაკოგნიტური უნარების გასავითარებლად;შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემები: კონკრეტული სამიზნე ცნებების დაუფლების ხარისხის გასაზომად.

მრავალფეროვანი წყაროების გამოყენება ამცირებს სუბიექტივიზმის რისკს და საშუალებას აძლევს პედაგოგებს, დაგეგმონ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ინტერვენციები.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მასწავლებლები მოსწავლეებს აკვირდებიან როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ გარემოში, რაც უზრუნველყოფს თითოეულ მოსწავლეზე მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებას. შემდგომ კი ამ ინფორმაციას ითვალისწინებენ სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენება, რაც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, რომ შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და ობიექტური.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასება წარმოადგენს კომპლექსურ პროცესს, რომელიც ორიენტირებულია ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებასა და სასწავლო გარემოს ოპტიმიზაციაზე, მასწავლებლები მოსწავლის მიღწევების შეფასებისას აანალიზებენ სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის სოციალურ-

ემოციურ მდგომარეობას, სწავლის სტილსა და ინდივიდუალურ ტემპს. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სამართლიან და ობიექტურ შეფასებას, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური მაჩვენებლებით.შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეზე მორგებული გარემოს ფორმირებასა და შესაბამის საგანმანათლებლო რესურსებზე ხელმისაწვდომობას, რაც ხელს უწყობს ბარიერების აღმოფხვრასა და თითოეული მოსწავლის პოტენციალის რეალიზებას.პედაგოგებთან პროფესიული დიალოგის საფუძველზე გამოიკვეთა სამოქმედო სტრატეგია მომავალი სასწავლო წლისთვის, რაც გულისხმობს კურიკულუმებში დიფერენცირებული და მრავალფეროვანი აქტივობების ინტეგრირებას. აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის კიდევ უფრო მეტ ადაპტირებას მოსწავლეთა სპეციფიკურ საჭიროებებთან.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის მეთოდოლია;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის საფეხურის კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბებიან კათედრებზე რამდენჯერმე და ხდება კურიკულუმის გადასინჯვა/შეფასება. საგნის მასწავლებლები ერთობლივად განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს და უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას, მსჯელობენ განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობაზე. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში ახალი კურიკულუმის შქმნის საქმეში ითვალისწინებენ წინა წლების გამოცდილებას. სკოლაში შექმინილია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლაში კურიკულუმის განახლების პროცესი ეფუძნება ხარისხის მართვის ციკლურ პრინციპს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის მუდმივ შესაბამისობას რეალურ საგანმანათლებლო კონტექსტთან, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიები წარმოადგენს წინა სასწავლო წლის პრაქტიკული გამოცდილების კრიტიკული ანალიზის შედეგს. პედაგოგებთან პროფესიული დიალოგის საფუძველზე დადასტურდა, რომ კურიკულუმის განხორციელების პროცესში დაგროვილი დაკვირვებები და მიგნებები სისტემურად აისახება მომდევნო წლის დაგეგმარებაში. ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში ინტეგრირებულია მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი ტენდენციები. მაგ.რესურსებისა და სტრატეგიების კორექტირებას ეფექტური უკუკავშირის შესაბამისად, სამიზნე ცნებების დაუფლების ტემპის ადაპტირებას გასული წლის შედეგების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
თარიღი 01. 06. 2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ქეთევან ბოტკოველის ხელ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ლელა წურწუმია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
2. ნანა ავაზაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი) -
3. მაკა გიორგბერიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი) -
4. მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)-
5. ნათია იასაღაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი) –
6. ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი) -
7. ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი) -
8. ელენე კურდღელია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
9. ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
10. ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);